ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 8 დეკემბერი, 2021 | №232 (8761) | ფასი: 60 თეთრი

ნონა გაფრინდაშვილის საქმის მოსმენა ნეტფლიქსის წინააღმდეგ 24 იანვარს კალიფორნიაში დაინიშნა

გვ.5

გვ.5

სააკაშვილის მონაცემების გასაჯაროებისთვის იუსტიციის სამინისტრო და პენიტენციური სამსახური 2.500 ლარით დაჯარიმდნენ

„პრეზიდენტს შეუძლია ისტორიაში სალომე გამაერთიანებლის სახელით შევიდეს“

გვ.2

ნანუკა ჟორჟოლიანი: „შერიგების ფორმებზე მას შემდეგ უნდა დავიწყოთ საუბარი, როცა სააკაშვილი ციხეს დატოვებს“

გვ.2

„სააკაშვილი ყველას მხრიდან მიტოვებულია“

შალვა ხაჭაპურიძე: „ოპოზიცია ცდილობდა ხელისუფლება ჩიხში შეეყვანა და თავად შევიდა“

„რიგგარეშე არჩევნებს ვერაფერი ჩაანაცვლებს“

მურმან დუმბაძე: „სააკაშვილს მოქალაქეობა უნდა აღუდგეს. უნდა მიეცეს პოლიტიკური საქმიანობის შესაძლებლობა და ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს. ეს არის შერიგების გზა“

გვ.3

გვ.4

„ჩემი ახლო სანათესავო, სამეზობლო სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს გაიხიზნა“

ამირან სალუქვაძე: „თუ ნაციონალები ამ გზით სვლას გააგრძელებენ, საპატიო მეორე ადგილსაც დაკარგავენ“

ირაკლი ღარიბაშვილი: „კალათბურთის სფეროს განსავითარებლად 100 მილიონი ლარის ინვესტირება უნდა მოვახდინოთ“

გვ.2

„საქართველოში ვერ მოხდება ძალაუფლების გადაცემა ივანიშვილიდან სააკაშვილზე“

გვ.3

მირიან მირიანაშვილი: „თუ ივანიშვილი დაპირისპირებულია სააკაშვილთან, რატომ აცხოვრებს ქვეყანას სააკაშვილის დღის წესრიგით?“

ISSN 1987-9385

5 „სანამ მოკლავდნენ, 1 საათით ადრე მოპედით სეირნობდა“ რას იხსენებენ დავით კრავეიშვილის მეგობრები

3 ირაკლი ღარიბაშვილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მიიწვიეს

5 ყოფილ ჩხოროწყუელ პოლიციელს მამაკაცის გაუპატიურებისთვის 5 წელი მიესაჯა

6 მოსკოვში მამაკაცმა პირბადეზე უარი თქვა და 2 ადამიანი მოკლა

„სააკაშვილი ყველას მხრიდან მიტოვებულია“

შალვა ხაჭაპურიძე: „ოპოზიცია ცდილობდა ხელისუფლება ჩიხში შეეყვანა და თავად შევიდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი **შალვა ხაჭაპურიძე** პასუხობს.

– ბატონო შალვა, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესები ერთ-ერთი აქტუალური თემა იყო ბოლო პერიოდში. ვისმენთ შეფასებებს, რომ იმდენად არამყარი არგუმენტები აქვს პროკურატურას და არასწორად აქვს საქმე წარმართული, რომ არ არის გამორიცხული, სააკაშვილმა ეს პროცესი მოიგოსო. ასევე საუბარია, რომ საკმაოდ პრინციპულ მოსამართლეებს მისცეს მისი საქმე. როგორც იურისტი, როგორია თქვენი შეფასებები?

– პირველი, დავიწყოთ იქიდან, რომ სამი მოსამართლე, რომლებსაც ერთ-ერთი საქმე აწერიათ, თუ არ ვცდები, 7 ნოემბრის ეპიზოდი, ერთ-ერთი ლია ორკოდაშვილია და ის მართლაც პრინციპული და ღირსეული მოსამართლეა. ახლა კი არა, ნაციონალების დროს, როდესაც სასამართლო არ არსებობდა, მაშინ არ შინდებოდა ეს ქალბატონი და გამოჰქონდა გამამართლებელი განაჩენი. ამ მიმართულებით სააკაშვილის საქმე აწერიათ ობიექტურ მოსამართლეებს.

– რამდენად მყარი მტკიცებულებები აქვს წარდგენილი პროკურატურას სასამართლოში?

– რაც შეეხება მტკიცებულებებს, აქ არავინ არ ლაპარაკობს მტკიცებულებებზე. მტკიცებულებების ნაწილი ჯერ არ დაწყებულა. ამ ეტაპზე ჯერ არ გადასულა სასამართლო. აწი იქნება. პროცესუალურად პროკურატურამ უნდა მოიყვანოს თავისი მოწმეები, დაკითხოს და შემდეგ დაცვის მხარე გადადის ამ ეტაპზე. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. 9-თვიან სასამართლო ვადაში არ არიან შეზღუდულები, იმიტომ, რომ ორ საქმეზე უკვე გასამართლებულია და ეს არ არის ჩამკეტი ვადა. ალბათ კარგა ხანს გაგრძელდება ეს პროცესი.

– დიდხანს მოგვიწევს ამ პროცესების ყურება?

– ვერ გეტყვით, არ ვიცი მტკიცებულებების რა ბაზა აქვთ. გვარამიას ვუსმინე, რომელიც აცხადებს, რომ პროკურატურას საერთოდ არა აქვს მტკიცებულებები და ეს სასამართლოზე გამოჩნდებაო. სიმართლე გითხრათ, ამასაც არ გამოვრიცხავ. ძებნილი იყო, პროკურატურა ფიქრობდა, რომ სააკაშვილი აქ ჩამომსვლელი არ არის და არც იმას გამოვრიცხავ, საქმე ისეა ნაძიები, რომ მტკიცებულებების ნაწილში უჭირდეს.

– ცუდად იმუშავა პროკურატურამ თუ საქმე მიზანმიმართულად გააფუჭა?

– ეს გამოჩნდება, როგორც კი მოწმეების დაკითხვასა და მტკიცებულებების წარმოდგენაზე გადავლენ. ის ორი პროცესი ძირითადად სააკაშვილის სიტყვით გამოსვლას ვუსმინეთ, სადაც მის მიერ აშენებულ სახელმწიფოზე საუბრობდა. თუმცა ერთი მნიშვნელოვანი რამ თქვა, სასამართლო სისტემა ვერ შევქმენი და ბოდიშს ვიხდიო. თუმცა აქ მეორე მომენტია, თუ შენ სასამართლო სისტემას არ ქმნი, მე ის სახელმწიფო სახელმწიფოდ არ მიმაჩნია. შესაბამისად, ისმება კითხვა, მაშინ რა შევქმენით საერთოდ?!

– სად ეყოლებათ სააკაშვილი ამ ხნის განმავლობაში? რუსთავში დააბრუნებენ?

– წესით, იუსტიციის სამინისტროს გადასაწყვეტია. სააკაშვილმაც გაავრცელა განცხადება, აპირებენ ჩემს გადაყვანას რუსთავში და თუ გადამიყვანენ, არც ეგ არ არის პრობლემაო. არ ვიცი გორის ჰოსპიტალში რა პირობები აქვს, რუსთავის პირობები დაახლოებით ვიცი. ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული არის. სხვა კოლონიებთან შედარებით ნორმალური პირობებია. აქ საინტერესო სხვა მომენტია.

– რა მომენტი?

– დაცვის მხარე და ოჯახის წევრებიც, ასევე, სააკაშვილის მეგობრები რომ შედიან და გამოდიან, ცოტა უცნაურ განცხადებებს აკეთებენ. აქცენტს აკეთებენ მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. თუ ამ მიმართულებას მიყვება დაცვის მხარე, ექსპერტიზის დასკვნა იქნებაო, „ემპათია“ აკეთებს და, როგორც წესი, ის ფსიქიატრიულ დასკვნებს აკეთებს. თუ ამაზეა საუბარი და ითქვა, რომ მისი ფსიქიკური მდგომარეობა ცუდად არის, მე პროცესუალურად ვიტყვი, რას ნიშნავს ეს. თუ პიროვნება ფსიქიკურად დაავადდა, აქ არის სამი მიმართულება, ადამიანი თუ დანაშაულის ჩადენის დროს იყო ფსიქიკურად შეურაცხადი, მაშინ საქმე წყდება, პირი გადაჰყავთ ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, იქ აჩერებენ რამდენიმე თვე და მერე უშვებენ სახლში. თუ დანაშაულის ჩადენის შემდგომ დაავადდა ფსიქიკურად და არის შეურაცხადი, მაშინ გადაჰყავთ ხონში, იქ უმკურნალებენ და მერე ისევ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აბრუნებენ. თუ იმას იტყვიან, რომ მასზე ფსიქიკურ ზეწოლას ჰქონდა ადგილი, მაშინ ეს სტრასბურის სასამართლოში გამოადგება დაცვის მხარეს. ჯერ არ ჩანს, რა ტაქტიკა აქვთ არჩეული. ფაქტი ერთია, ვინც კი შედის და გამოდის, ყველა ამას იმეორებს, რომ ამ ადამიანს აქვს ფსიქიკური პრობლემები. კვალიფიციური იურისტები ჰყავს და არ მგონია, რომ არ ჰქონდეთ გათვლილი, რას გეგმავენ, როგორ და რანაირად. თუ სტრასბურისთვის იყენებენ, მაშინ ეს არის გრძელვადიანი ამბავი. ეს საქმეები ჯერ აქ უნდა დამთავრდეს, რომელსაც მინიმუმ 9 თვე დასჭირდება, მერე გასაჩივრდეს, წავიდეს სტრასბურში...

– ამ პერიოდში შესაძლებელია მისი უკრაინაში გაშვება?

– სააკაშვილის უკრაინაში გაშვება ახლაც შეიძლება. აქ ორი კონვენცია მუშაობს, გადაცემის კონვენცია და ექსტრადაციის კონვენცია. ახლაც შეუძლიათ გადასცენ უკრაინას და უკრაინამ აიღოს თავის თავზე ეს პროცესები. ან დაელოდონ ამ საქმეების პირველ ინსტანციაში დამთავრებას და მერე მოითხოვოს უკრაინამ. მოკლედ, მინიმუმ 9 თვემდე მოუწევს ჯდომა. ჯერჯერობით ძალიან გაუგებარი სიტუაციაა. აქეთა მხრიდან კი ვხედავთ, ოპოზიცია საერთოდ არაფერს არ აკეთებს.

– საპროტესტო მუხტმაც საგრძნობლად მოიკლო, რატომ, დაიღალნენ? დიდი იმედები ჰქონდა მიშას და სულ სხვა რეალობა დახვდაო.

– არ ვიცი, რატომ ჰქონდა სხვა მოლოდინები, თუნდაც თქვენი გაზეთი წაეკითხა და მიხვდებოდა, რომ არ უნდა ჰქონოდა სხვა მოლოდინები. ძალიან გაუგებარი სიტუაციაა, არაფერს არ აკეთებს ოპოზიცია. ერთმანეთის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ოპოზიციური ფრონტი ვერ ერთიანდება. მხოლოდ ტრადიციულ სატელევიზიო გამოსვლებს ვუსმენთ და საზოგადოებას კი უნდა სულ სხვა ტიპის აქტიურობა ნახოს ოპოზიციის მხრიდან. გახარიაც გაქრა. ვერ ვხედავ, რა ხდება.

– რა პროცესს ვუყურებთ, ოპოზიცია ცდილობდა ხელისუფლება ჩიხში შეეყვანა და თავად შევიდა?

– ასე გამოვიდა. რაც მთავარია, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე არც მიდის ლაპარაკი და აზრიც რომ არ აქვს, ამაზე ჯერ კიდევ თქვენი გაზეთის საშუალებით ვსაუბრობდი, არჩევნებზე რომ მიდიან, რა კანონით მიდიან-მეთქი. ის საარჩევნო კოდექსი, რომელშიც ცვლილებები შეიტანეს და რომელიც ახლაც მოქმედებს, ასჯერ რომ წახვიდე არჩევნებზე, ასჯერვე წაგებულად გამოგაცხადებს ხელისუფლება. ოპოზიციის მხრიდან მიზანი მარტო საპარლამენტო არჩევნები კი არ უნდა იყოს, უნდა იყოს საარჩევნო კოდექსის სერიოზული ცვლილება, რასაც ჰქვია ისტორიული. ამ ყველაფერს ემატება ფონად კიდევ უკრაინა-რუსეთის მდგომარეობა, სადაც ისეთი სიტუაციაა, ომი შეიძლება დაიწყოს და მიშა კი არა, ჩვენ ვიღას ვემახსოვრებით მერე საერთოდ. ერთი მომენტიც არ დაავიწყდეთ სააკაშვილთან დაკავშირებით, კი გაიძახიან 6 წელი, 6 წელიო, მაგრამ ერთი მუხლი, რომელიც აღდგენილი აქვს, 11 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– ანუ?

– არ აღიარების შემთხვევაში, თუ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუვიდა, 8-იდან 11-წლამდეა და არ გამოვრიცხავ, მოსამართლემ 10 წელიწადი მიუსაჯოს. ძალიან გაუგებარი და დაბნეული მდგომარეობაა. მიშას მომხრეებს ეგონათ, რომ სააკაშვილს ჯადოსნური ჯოხი ეკავა ხელში, აიქნევდა და ხელისუფლებას შეცვლიდა. სიტუაცია ასეთია – ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის. მისი მომხრეების ყვირილი სიტუაციას ვერ შეცვლის. არ დაგვავიწყდეს ყველაზე მთავარი მომენტი, დასავლეთიდან კაცი შვილი ხმას არ იღებს. დუმან ჩვენი პარტნიორები. გვახსოვს, რა ხდებოდა ოქრუაშვილზე, უგულავასა და რურუაზე, ყოველ დილით თითო კონგრესმენის წერილი მოდიოდა.

– ახლა რა ხდება, თვლიან, რომ მიშა დამნაშავეა?

– დასავლეთი გიჟდება ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებაზე“-თქო ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი, მაგრამ შესაძლოა ფიქრობენ, რომ სააკაშვილმა ახალი დაძაბულობის ერა შექმნას და ამიტომ თავს არიდებენ ამ სიტუაციაზე საუბარს. მოდი ასე ვთქვათ, რომ მიტოვებულია ეს კაცი. გვარამია თუ უშველის, ან ის პოლიტიკოსები, საღამოობით სტუდიებში რომ ჩამოსხდებიან ხოლმე, არ ვიცი. ძალიან გაუგებარი სიტუაციაა და თუ რა იქნება, ამის პროგნოზიც რთულია.

ირაკლი ღარიბაშვილი: „კალათბურთის სფეროს განსავითარებლად 100 მილიონი ლარის ინვესტირება უნდა მოვახდინოთ“



– ჩვენ ვფიქრობთ, რომ კალათბურთის სფეროს განსავითარებლად და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობისთვის 100 მილიონი ლარის ინვესტირება მოვახდინოთ.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ პაატა გურასპაულთან შეხვედრაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობა ქვეყანაში კალათბურთის ფართოდ პოპულარიზაციის მიზნით კალათბურთის განვითარების პროგრამის ამოქმედებას გეგმავს.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ევრობასკეტ-2022-ის წარმატებით ჩატარება მნიშვნელოვანია და კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას მთავრობისგან სრული მხარდაჭერა აქვს.

– მთავრობის სახელით მე მინდა დაგიდასტუროთ სრული პატივისცემა და მხარდაჭერა კალათბურთის ფედერაციას. ჩვენ ახლა ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება გვაქვს, ევრობასკეტ 2022, ამიტომ ჩვენი საერთო ძალისხმევა უნდა მივმართოთ ამ დიდი ღონისძიების წარმატებით ჩატარებისკენ.

ამხელა დარბაზს ვაშენებთ, მთავრობა სრულად არის ჩართული და კიდევ უფრო მეტს გავაკეთებთ. ჩემი სურვილია, რომ სამომავლო გეგმებზე, ხედვებზე ერთად ვიმუშაოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაახლოებით 100 მილიონი ლარის ინვესტირება მოვახდინოთ კალათბურთის სფეროს განსავითარებლად, რომ კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ კალათბურთი, უფრო მეტი ხელშეწყობა ჰქონდეს კალათბურთის ფედერაციას. აუცილებლად საჭიროა რეგიონებში განვითარების შეტანა და იქ საკალათბურთო სკოლების შექმნა, დაარსება და ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდა. დღეს ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ შევიკრიბეთ. ასევე მინდა მოვუსმინოთ ჩვენი გუნდის წევრს, ბატონ ვიქტორ სანიკიძეს, ცნობილ კალათბურთელს და დამსახურებულ სპორტსმენს. მასაც აქვს თავისი ხედვები, იდეები, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა პრემიერ-მინისტრს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, კალათბურთი ქვეყანაში ერთ-ერთი წარმატებული სპორტის სახეობაა, რაც ყველას, მათ შორის მთავრობის მხარდაჭერის დამსახურებაა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ვიცე-პრემიერი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორ სანიკიძე და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, ფიბა-ევროპის ბორდის წევრი და ევროპის იურიდიული კომიტეტის პრეზიდენტი გიორგი ქართველიშვილი ესწრებოდნენ.

„პრეზიდენტს შეუძლია ისტორიაში სალომე გამაერთიანებლის სახელით შევიდეს“

ნანუკა ჟორჟოლიანი: „შერიგების ფორმებზე მას შემდეგ უნდა დავიწყოთ საუბარი, როცა სააკაშვილი ციხეს დატოვებს“

იაგო ნაცვლიშვილი

დღეს პრეზიდენტის რეზიდენციასთან მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მომხრეები აქციას გამართავენ. მათ სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრა სურთ, რათა პრეზიდენტი დაარწმუნონ მიხეილ სააკაშვილის შეწყალების აუცილებლობაში.

რატომ მართავენ აქციას პრეზიდენტის რეზიდენციასთან და როგორ უყურებს საყოველთაო შერიგების იდეას? – აღნიშნულ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ტელეწამყვანი **ნანუკა ჟორჟოლიანი** საუბრობს.

– დღეს მართავთ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციას პრეზიდენტის რეზიდენციასთან. რატომ აირჩიეთ ეს ადგილი და რა გსურთ უთხრათ პრეზიდენტს?

– სალომე ზურაბიშვილი ერთადერთი ადამიანია ბიძინა ივანიშვილის გარდა, რომელსაც რეალობის შეცვლა შეუძლია და არა მხოლოდ სადღეგრძელოების დონეზე, როგორც ამას აკეთებენ პოლიტიკური განცხადებების სახით სხვა პოლიტიკოსები. ირაკლი კობახიძემ რაც არ უნდა ილაპარაკოს სააკაშვილზე, ან ეროვნულ შერიგებაზე თავისი დამოკიდებულება გვაჩვენოს, სინამდვილეში მის ხელში არაფერია. კობახიძე ისე გააკეთებს რაღაცას, როგორც ბიძინა ეტყვის, ზურაბიშვილიც ისე გააკეთებს, როგორც ბიძინა ეტყვის, მაგრამ მას აქვს ბერკეტები და შეუძლია სხვაგვარად იმოქმედოს, თუ ამის სურვილი და ნება ექნება. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ პირველი მასთან მივიდეთ და ვუთხრათ, რომ ამ ქვეყანაში არსებობენ ადამიანები, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობენ მისგან, როდესაც მან თქვა, რომ არა და არასოდეს. ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ როგორც შეცვალა დამოკიდებულება რურუასთან, გიგი უგულავასა და ოქრუაშვილთან მიმართებაში, ასევე დაირღვევა მისი დამოკიდებულება აქაც.

– არ ფიქრობთ, რომ გარდა აქციებისა, ასევე საჭიროა დიპლომატიის ამოქმედება?

– ეს უკვე პარტიის სამუშაოა. ამაზე მე ვერაფერს გიპასუხებთ, რადგან ეს არ არის ის, რისი გაკეთებაც მე შემიძლია.

– თქვენი აზრი როგორია?

– რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. მე როგორც ვიცი, ამ მიმართულებით მუშაობენ. სინამდვილეში ყველაზე დიდი გავლენა, ერთი მხრივ, თუ ადამიანების რაოდენობას აქვს ბიძინა ივანიშვილზე, მეორე მხრივ, საერთაშორისო თანამეგობრობას აქვს. ვნახეთ, სტრასბურის გადაწყვეტილებამ, როგორი გავლენა მოახდინა.

– სააკაშვილმა ისაუბრა შერიგებაზე, როგორ წარმოგიდგენიათ ეს და ხედავთ ამის რესურსს?

– როდესაც ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძეს შორის იყო დაპირისპირება და მოდი ვთქვათ, რომ საბედნიეროდ, მსგავსი დაპირისპირება არ გვაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ არც მივალთ იქამდე, მაგრამ იმ მხარეებმაც კი შეძლეს შერიგება. ჩვენ გვახსოვს ზვიად გამსახურდიას შვილი, რომელიც შევარდნაძის მთავ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„საქართველოში ვერ მოხდება ძალაუფლების გადაცემა ივანიშვილიდან სააკაშვილზე“

მირიან მირიანაშვილი: „თუ ივანიშვილი დაპირისპირებულია სააკაშვილთან, რატომ აცხოვრებს ქვეყანას სააკაშვილის დღის წესრიგით?“

მარიამ მჭედლიშვილი

რა სიტუაციაა დღეს საქართველოში? ვინ უწყობს ხელს იმას, რომ ქვეყანა იმართებოდეს სააკაშვილის დღის წესრიგით? რატომ ეწინააღმდეგება ეს პროცესები ვაშინგტონის პოლიტიკასა და მიზნებს? რატომ არის გარდაუვალი საქართველოში პოლიტიკური რეალობის შეცვლა? რა უთხრა საქართველოს შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა თავის რუს კოლეგას? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური გაერთიანება „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, **მირიან მირიანაშვილს.**

– გორის ჰოსპიტალში მყოფი მიხეილ სააკაშვილი მოვლენების გამძაფრებას აანონსებს. ნაცმოძრაობა მუდმივად ატარებს საპროტესტო აქციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. რას იტყვით ამ სიტუაციაზე?

– სააკაშვილის გამონათქვამები საინტერესო არ არის. მის მიერ რაიმეს დაანონსება არაფერს ნიშნავს. საგულისხმო და გასარკვევი ისაა, თუ რატომ ჯდებიან სახელმწიფო ორგანოები სააკაშვილის დღის წესრიგში. ის, რაც ხდება სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მონაწილეობით, ვერ განხორციელდებოდა სახელმწიფოს ღია და ფარული ხელშეწყობის გარეშე. მთავარია, ვინ არის სინამდვილეში ამ მოვლენების ორგანიზატორი, კონსტრუქტორი, მეპატრონე და ბენეფიციარი.

– სააკაშვილი თვითონ ვერ ქმნის დღის წესრიგს?

– რასაკვირველია, ვერა. სააკაშვილის შესაძლებლობები შეზღუდულია. მას აშკარად ეხმარებიან. სააკაშვილის თემის გაპიარება ხდება დირექტივების შესაბამისად. ივანიშვილი მართავს მედიის უდიდეს ნაწილს. სხვები ტენდენციებს მიჰყვებიან. მითითების შესაბამისად, სააკაშვილი უნდა იყოს მთავარი თემა. მსოფლიო მედიის პოზიცია საპირისპიროა. უცხოური მედია ყრუ და ბრმაა ამ თემის მიმართ. დასავლურ მედიას არ მიუქცევია ყურადღება არც სააკაშვილის დაკავებისთვის, არც შიმშილობის აქციისთვის.

– ამაში დასავლეთის პოზიცია იკვეთება?

– ცხადია. რომ არსებობდეს ინტერესი სააკაშვილის ფიგურის მიმართ და ნდობა, იქნებოდა დიდი ხმაური. ქართული მედია აცდენილია მსოფლიო ტენდენციებს. ჩაკეტილი დღის წესრიგით ცხოვრება წარმოუდგენელია იმ ქვეყნისათვის, რომელიც ინტეგრირებულია მსოფლიოში. ჩაკეტილი დღის წესრიგის „ფუფუნება“ აქვთ ჩაკეტილ ჩრდილოეთ კორეას, ნახევრად ჩაკეტილ რუსეთს და ამ ტიპის ქვეყნებს.

– საქართველო ამ შემთხვევაში ავტორიტარულ სახელმწიფოებს ემსგავსება?

– საქართველო დისონანსში მოდის მსოფლიოსთან. ის ეწინააღმდეგება დასავლეთს. თუ ივანიშვილი დაპირისპირებულია სააკაშვილთან, მაშინ რატომ უწყობს ხელს მის გაპიარებას? რატომ აცხოვრებს ქვეყანას სააკაშვილის დღის წესრიგით? ინფორმირებული ადამიანები, უცხოელი ექსპერტები ასკვნიან, რომ ეს ყველაფერი ხდება რუსეთის დავალებით. ეს გაუგებარი ტენდენციები გრძელდება იმ დროს, როცა დასავლეთმა უარი უთხრა პუტინს წითელი ხაზების გავლებაზე. ეს მოხდა ახლახან, სამიტზე.

– ნატოს სამიტი გაქვთ მხედველობაში?

– დიახ. საქართველოში ეს სამიტი და აქედან გამომდინარე მოვლენები საერთოდ არ აინტერესებთ. საქართველოს ბედი წყდება და ამაზე არავინ კრინტს არ ძრავს. ამაზე რომ გაამახვილონ ყურადღება, სააკაშვილის ჭამა-სმაზე, მკურნალობასა და ტრანსპორტირებაზე ვიღა იხმაურებს! სამიტამდე ბლინკენი და ლავროვი ელაპარაკნენ ერთმანეთს. ლავროვს უნდოდა, ოფიციალური დღის წესრიგიდან საქართველოს საკითხი ამოეღოთ. რუსეთს სამაგიერო დათმობა ჰქონდა მომზადებული.

– რაზე უნდა გაცვლილიყო საქართველო?

– კოსოვოზე. მზადდება კოსოვოს გაერო-ში მიღების საკითხი. მოსკოვი ამას ვეტოს ადებს. ლავროვმა განაცხადა, რომ საქართველოს სანაცვლოდ აღარ აამოქმედებს ვეტოს კოსოვოს თაობაზე. ლავროვმა ბლინკენისგან მტკიცე უარი მიიღო. ბლინკენმა ლავროვს განუცხადა, რომ საქართველო არ იქნება ვაჭრობის ობიექტი, სავაჭრო საგანი.

– ეს კულუარული ინფორმაცია ადასტურებს იმას, რომ აშშ მყარად იკიდებს ფეხს საქართველოში?

– ცხადია. ამაზე წინა წლებში თქვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუებშიც მისაუბრია. ის, რაც ახლა ხდება, ანგლოსაქსურმა ელიტამ რამდენიმე წლის გადაწყვიტა. მაშინ უკვე დადგენილი იყო, რომ საქართველო არ იქნებოდა სავაჭრო ობიექტი და მას ანგლოსაქსური სამყარო არაფრის ხარჯზე რუსეთს არ დაუთმობდა. ეს ნიშნავს საქართველოს ხსნას.

– პროცესი გაჭიანურდა?

– პროცესი დაგვიანდა ტრამპის გამო. პირადად ტრამპის გამო პროცესი ჰაერში აღმოჩნდა გამოკიდებული. რესპუბლიკური მმართველობა ამ პროცესს ხელს უწყობდა, მაგრამ ტრამმა ის შეაფერხა. ახლა ბაიდენის ადმინისტრაციაა და პროცესი გრძელდება. ალბათ, სამ წელიწადში ყველაფერი განხორციელდება. საქართველოს დასავლური ინტეგრაცია რეალურად მიმდინარეობს. ამით აიხსნება პუტინის დემარშები. ქართული პოლიტიკური თემატიკა აცდენილია მსოფლიო მოვლენებს და იღებს კომიკურ სახეს. ხდება სააკაშვილის რეკლამირება და იმის ახირება, რომ ის პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს. ვერა და ვერ გაიგეს, რომ ამაზე არსებობს დასავლეთის ტაბუ.

– ტაბუს ბიძინა ივანიშვილიც არღვევს?

– ალბათ, მას რისკებიც აწონილ-დაწონილი აქვს. ის ხედავს აშშ-ის პოლიტიკური ელიტის პოზიციას, აშშ-ის ელჩის მოქმედებებს და ხანდახან – მის დუმილს. არ ვიცი, იქნებ ბიძინა ივანიშვილი შორს იხედება და რაღაც სხვას ფიქრობს. სააკაშვილის პოლიტიკაში მობრუნება შეუძლებელია. საქართველოში ვერ მოხდება ძალაუფლების გადაცემა ივანიშვილიდან სააკაშვილზე. ფაქტია, რომ სააკაშვილს სახელმწიფო სტრუქტურები ეხმარებიან (ჩამოსვლაში, მის მხარდამჭერ მიტინგებში, რეკლამირებაში). როგორც ჩანს, არაფერი შეიცვლება. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, აშშ-ის პოლიტელიტა გულხელდაკრეფილი არ დარჩება. არა მგონია, მავანმა ამ დაპირისპირებაში ბენეფიტები შეიძინოს.

– ისინი, ვინც სააკაშვილს ეხმარებიან, რისკავენ?

– ძალიან რისკავენ. რატომ აკეთებს მავანი ამას? ესაა მთავარი ინტრიგა და კვანძი. ამ კვანძის გახსნით საქართველოში დაიწყება ახალი პოლიტიკური ცხოვრება. აშშ-სგან მოსალოდნელია ჰიბრიდული პასუხები. როგორ ჰიბრიდულადაც ეხმარებიან სააკაშვილს, ისეთივე პასუხები იქნება. მოჰკითხავენ იმათ, ვინც სააკაშვილთან თანამშრომლობს.

– გამოდის, რომ სანქციები ივანიშვილის წინააღმდეგ არ იქნება და პასუხს ჰიბრიდულად მოსთხოვენ?

– პირველ ეტაპზე, როგორც წესი, სანქციები არ შემოდის. თავიდან ვაშინგტონი მსუბუქი ინსტრუმენტებით მოქმედებს. სანქციები მოსალოდნელია ბოლო ეტაპზე. ამჟამად ამერიკული სანქციები მოქმედებს 29 ქვეყნის მიმართ. მოსალოდნელია, რომ საქართველოს პოლიტელიტა გახდეს 30-ე ამ ნუსხაში. რასაკვირველია, ოფიციალურად სანქციების სამოტივაციო ნაწილში ჩაიწერება სხვა მიზეზი და არა საქართველოს ხელისუფლების და ივანიშვილის თანამშრომლობა მიუღებელ სააკაშვილთან.

– ამბობდით, რომ ივანიშვილმა საქართველოში რეფორმების გატარებისა და ვადამდელი არჩევნების პირობა დადო. ამის ნიშნები არ ჩანს? ე. წ. მიშელის დოკუმენტიც ფარატინა ქაღალდად იქცა.

– მიშელის დოკუმენტზე ხმაურით უნდათ, გადაფარონ პოლიტიკური თანამშრომლობა სააკაშვილთან. აშშ არ „აწვება“ მიშელის შეთანხმების შესრულებას და ის არ სრულდება. უნდა გაგიმხილოთ, რომ აშშ-ის თვალში არ მოსდის ევროპელების ჩარევით მიღებული დოკუმენტი. ჩემი აზრით, იქ ჩადებულია ლიბერალური სურვილები, რეფორმირების განზრახვები. ეს უფრო აბსტრაქტული დოკუმენტია. მალე დადგება ახალი რეალობა. ასე, ორ-სამ თვეში აშშ-ის პოლიტიკური ელიტა წამოაყენებს თავის მოთხოვნებს და მერე ვნახოთ, თუ არ დაიწყება რეფორმები! ამერიკის ელჩიც გააქტიურდება.

– ახალი რეალობა თუ დგება, სააკაშვილის თემა მთავარი ვეღარ იქნება?

– სწორი შენიშვნაა. ახალ პოლიტიკურ ცხოვრებაში სააკაშვილის თემა ავტომატურად იხსნება. სხვათა შორის, სააკაშვილი უკრაინაში არ უნდათ. თუ აქამდე აშშ-ის პოლიტიკურ ელიტას არ მოსწონდა სააკაშვილის პოლიტიკური აქტიურობა, დღეს მას ეს უკვე აღიზიანებს. ზელენსკის ეს ესმის. ეს გაღიზიანება გადავა იმ ინტერსენტებზეც, რომლებიც სააკაშვილს პოლიტიკურად ეხმარებიან. საუბარია პოლიტიკურ თანამშრომლობაზე და არა ჰუმანიტარულ საკითხებზე. კარგია, თუ სააკაშვილის პრობლემა გადავა ჰუმანიტარულ ჭრილში. სასურველია მისთვის საერთაშორისო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. საერთაშორისო კომისიამ უნდა გაარკვიოს მისი ფსიქიკური მდგომარეობა.

– რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები თუ შეიძლება გაიმართოს?

– რასაკვირველია, მაგრამ ქართული საარჩევნო ადმინისტრაციით ორგანიზებულ არჩევნებს აზრი ეკარგება. არჩევნები უნდა ჩატარდეს საერთაშორისო ორგანიზებით. მხოლოდ დაკვირვება არ კმარა. ალბათ, ვადამდელი არჩევნები იქნება იმ მოთხოვნებისა და რეკომენდაციების პაკეტში, რომელსაც ორ-სამ თვეში აშშ წარმოადგენს. ნატოში გაწევრიანების წინ საქართველოს პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაცია გარდაუვალია. უნდა გაიმართოს სამართლიანი არჩევნები. აბა, თუ პოლიტელიტას არ ენდობიან, ნატოს ვინ გაგაკარებს?! საიდუმლო ინფორმაციას ვერ ანდობენ იმათ, ვინც მას კრემლს „ჩაუკაკლავს.“ ამიტომ, სანამ საქართველოს ნატოში შეიყვანენ, შეიცვლება პოლიტიკური სპექტრი.

„რიგგარეშე არჩევნებს ვერაფერი ჩაანაცვლებს“

მურმან დუმბაძე: „სააკაშვილს მოქალაქეობა უნდა აღუდგეს. უნდა მიეცეს პოლიტიკური საქმიანობის შესაძლებლობა და ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს. ეს არის შერიგების გზა“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი **მურმან დუმბაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– პატონო მურმან, მიხეილ სააკაშვილის იდეას შერიგების შესახებ გია ვოლსკი და ირაკლი კობახიძე გამოეხმაურნენ. შერიგების საფუძველი სინანულიაო, რასაც ვერ ვხედავთ, მეტიც, ის იმუქრებაო – ამბობს კობახიძე.

– ირაკლი კობახიძეზე, გია ვოლსკიზე, რომლებიც ამ კომენტარებს აკეთებენ, არაფერი არ არის დამოკიდებული. 2011 წელს, როდესაც „ქართული ოცნების“ პროგრამას ვწერდით, არსად არ გვითქვამს, რომ ხელისუფლებაში შურისძიებისთვის უნდა მოვიდეთ. იდეალური ხელისუფლება უბრალოდ არ არსებობს, მაგრამ ნებისმიერი ხელისუფლება, ოდნავ მაინც თუ აზროვნებს, მზად უნდა იყოს შერიგებისთვის, ასეთი იდეისთვის, რადგან ეს მხოლოდ ქვეყანას წაადგება. ეს მხოლოდ ქვეყნის საკეთილდღეოდ კეთდება.

ეს ხელისუფლება ყოფილ ხელისუფლებას იმიტომ კი არ ებრძვის, რომ დანაშაულებს ხედავს, რომ თვითონ უკეთესად მართავს სახელმწიფოს და წინა ხარვეზებს ხედავს, არა, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ ვერაფერს ვერ აკეთებენ და ამ დაპირისპირებით ინარჩუნებენ თანამდებობებს. ათი წლის წინანდელი ამბების ამოწევამ ვერ იმუშავა. პირიქით, უფრო პოლარიზებული გახადა საზოგადოება. ქვეყანა უფრო გახლეჩილია და დაპირისპირება სახეზეა.

სიტყვა შერიგება 2012 წლიდან ძალიან ბევრჯერ მაქვს ნახსენები, რადგან ჩემი გამოცდილებიდან ვამბობ, რომ შერიგებას ალტერნატივა არ აქვს. საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე რომ გააჩეროთ, დარწმუნებული ვარ, იგივეს გიპასუხებთ.

თუ სისხლის სამართლის დანაშაულზეა საუბარი, ათი წელი რას აკეთებდნენ?! აქამდე უნდა დაესაჯათ. ძალიან სწრაფად უნდა მომხდარიყო, ახლა უკვე ძალიან გვიანია და ეს ყველაფერი უკვე სხვა სახეს და სხვა რეალობას იღებს.

– რა უნდა მოხდეს, რომ შერიგებისკენ ნაბიჯი ორივე მხრიდან გადაიდგას?

– მიხეილ სააკაშვილს მოქალაქეობა უნდა აღუდგეს. მას უნდა მიეცეს პოლიტიკური საქმიანობის სრულად და თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა და ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს. ეს არის შერიგების გზა.

– თუ ოპოზიციას კონსტრუქციული თანამშრომლობა უნდა და საკონსტიტუციო ცვლილებები, ვადამდელი არჩევნები უნდა დაივიწყოთ. ამბობს ირაკლი კობახიძე. ოპოზიციაში არის ასეთი მზაობა?

– არა, არა. ვადამდელ არჩევნებზე საუბარი დავიწყებული ვერ იქნება. ეს ხელისუფლება მოქალაქეების მიერ გაცემული ძალაუფლების ადეკვატური არ არის. რიგგარეშე არჩევნებს ვერაფერი ვერ ჩაანაცვლებს, რადგან ხელისუფლებას ლეგიტიმაცია სჭირდება. სისტემურ წინააღმდეგობაში მოდიან ისინი ამ ქვეყნის მოქალაქეებთან, რადგან ამ ქვეყნის მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა ჯამურად ოპოზიციურ პარტიებს ირჩევს და არა „ქართულ ოცნებას“. ამ რეალობის წინაშე ვართ და ეს უნდა გამოსწორდეს სწორედ რიგგარეშე არჩევნებით.

ვადამდელი არჩევნები თუ დაინიშნება პროპორციული სისტემით და არა არსებული შერეული მოდელით, მერწმუნეთ, ავტომატურად მოხდება შერიგება.

– რიგგარეშე არჩევნები თუ არ იქნება?

– მაშინ იქნება ის, რაც მომხდარა ამ ქვეყანაში. შევარდნაძეც ამბობდა, რომ 2005 წელს ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნებიო, მე მაშინაც ვამბობდი, რომ მანამდე ჩატარდებოდა. თუ კობახიძეს დღეს არ უნდა ვადამდელი არჩევნები, მაშინ გარანტიას ვაძლევ, რომ უვადო არჩევნებს თვითონ მოითხოვს ცოტა ხანში.

– როგორ?

– ისეთი რეალობის წინაშე შეიძლება დადგნენ, რომ თავად დანიშნონ ვადამდელი არჩევნები. ეს მათ უნდა აწყობდეთ, რადგან ქვეყანა პოლიტიკურ ჩიხშია. ჩიხიდან გამოსავალზე ხომ უნდა იფიქროს ხელისუფლებამ?! და ჩვენ, ოპოზიცია, გამოსავალს ვთავაზობთ.

– საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებ წინაპირობად ხელისუფლება ვადამდელი არჩევნების უკან წაღებას ასახელებს. თუ ასე დადგა საკითხი, ოპოზიციის უპირატესობა რა იქნება?

– ეს ერთი და იგივე მოთხოვნაა. რიგგარეშე არჩევნები, მიხეილ სააკაშვილის განთავისუფლება და საკონსტიტუციო ცვლილებები. ცალ-ცალკე ეს საკითხები არ განიხილება. ეს ერთიან პაკეტში არის მოქცეული. პოლიტიკური სიტუაცია გვკარნახობს ამას. ვინც პოლიტიკოსია და ოდნავ მაინც ესმის პოლიტიკის ანი და ბანი, ამას ხვდება. ვისაც ჯიუტობა უნდა, მას ღმერთმა ხელი მოუმართოს. სისტემურ კონფლიქტში ხელისუფლება ვერ იმარჯვებს, ეს ამ ქვეყნის პოლიტიკის ისტორიამ არაერთგზის დაადასტურა.

ირაკლი ღარიბაშვილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მიიწვიეს

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელმა და აღმასრულებელმა თავმჯდომარემ კლაუს შვაბმა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მიიწვია, რომელიც 2022 წლის 17-21 იანვარს შვეიცარიაში, ქალაქ დავოსში გაიმართება.

ოფიციალურ მიწვევაში, რომელიც საქართველოს მთავრობის მეთაურმა მიიღო, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელი და აღმასრულებელი თავმჯდომარე ფორუმის მნიშვნელობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ მსოფლიოს პოლიტიკური, სამეწარმეო და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერების შეკრება სამომავლო თანამშრომლობის განმტკიცებისთვის აუცილებელია.

„მაქვს პატივი მოგიწვიოთ ყოველწლიური მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2022 წლის შეხვედრაზე, რომელიც 17-21 იანვრის პერიოდში გაიმართება შვეიცარიის ქალაქ დავოსში.

მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკური, სამეწარმეო და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერების შეკრება აუცილებელია თანამშრომლობის გზით მომავლის შენების რწმენის განსამტკიცებლად. ფორუმის მონაწილეები მადლიერნი იქნებიან, თუ ექნებათ შესაძლებლობა, მოისმინონ თქვენი ხედვა საქართველოში მდგრადი და თანაბარი ეკონომიკური აღდგენის უზრუნველყოფის შესახებ.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი მჭიდროდ ითანამშრომლებს თქვენს აპარატთან იმისთვის, რომ თქვენი მონაწილეობა რელევანტური იყოს თქვენთვის და თქვენი ქვეყნისთვის. მოუთმენლად ველი, რომ პირადად გიმასპინძლებთ დავოსში“ – აღნიშნულია ოფიციალურ მიწვევაში, რომელიც პრემიერ-მინისტრმა მიიღო.

„ჩემი ახლო სანათესავო, სამეზობლო სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს გაიხიზნა“

ამირან სალუქვაძე: „თუ ნაციონალები ამ გზით სვლას გააგრძელებენ, საპატიო მეორე ადგილსაც დაკარგავენ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში, საჰაერო ჯარების ყოფილი სარდალი **ამირან სალუქვაძე** პასუხობს.

– ბატონო ამირან, სააკაშვილმა სასამართლოზე საზოგადოებას ასე მიმართა: არ მოგენატრათ სიახლე და აღმშენებლობა? არ მოგენატრათ სიამაყის განცდა? არ მოგენატრათ ტემპი და დრაივი? არ მოგენატრათ გამარჯვების ზეიმი? არ მოგენატრათ სიყვარული და სითბო? თქვენ არ მოგენატრათ სააკაშვილის პერიოდი? მგონი, სააკაშვილის მმართველობის დროს თავდაცვის სამინისტროში მუშაობდით. მგონი, მაშინ თქვენ გქონდათ პრობლემები, თუ თავდაცვის სამინისტროში წარმოიშვა?

– პრობლემები მათ ჰქონდათ, მე არა. ამაზე ოდესმე, ალბათ, დავწერ. ახლა როგორც უნდა ხატონ სიტუაცია, ვინც მათგან განსხვავებულად საუბრობს, ყველას რაღაც იარლიყს აწებებენ. სხვაგვარად არ შეუძლიათ. ან ყველა მათ მხარესაა, ან ყველა მათი მტერია.

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროში სამსახურს, თავიდან თითქოს იმედები გაჩნდა, თუმცა, მალევე გაბათილდა, იმდენად ზედაპირული მიდგომები ჰქონდათ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, ძალიან მალე თავდაცვის ძალებში წმენდა დაიწყეს. როცა თავდაცვის მინისტრი ერთი ბრძანებით 2000-3000 ადამიანს უშვებს, წმენდაა. ეს არ არის ამნისტია, რომ ერთი ბრძანებით 2000 პატიმარი გამოუშვა რომელიმე მუხლით. მასობრივი დათხოვნა ყოველთვის წმენდად აღიქმება.

– რას ნიშნავს წმენდა ჯარისთვის?

– წმენდა ძალიან უხეში, ქირურგიული ჩარევაა. ჯარსა და ძალოვან სტრუქტურებში საკადრო საკითხებში როგორც ნეიროქირურგი, ისე უნდა მუშაობდეს. სხვა სფეროშიც ასეა. იმის მიუხედავად, რომ სხვა ძალოვან სტრუქტურაშიც მიმსახურია, თავდაცვა განსაკუთრებული ორგანიზმია.

როცა ჯარში სამსახურს ირჩევენ პროფესიად, ფაქტობრივად, სამშობლოსთვის სიკვდილზე მიდიან. ჯარისკაცი თუ ოფიცერი შეიძლება ბრძოლის ველზე დაიღუპოს. როცა ადამიანი ამ პროფესიას ირჩევს, ამას აცნობიერებს. ამიტომ ასეთ ორგანიზმში უხეში ჩარევები კატეგორიულად მიუღებელია.

– თქვენც ხომ დაგითხოვეს.

– ჩემს დათხოვნას თავი დავანებოთ. მაგის პრობლემა არ მქონია. გადამაყენეს, პატაკი დავწერე და წამოვედი.

– რატომ გადაგაყენეს, ამასაც ხომ აქვს მნიშვნელობა?

– არანაირი განმარტება არ გაუკეთებიათ. თათბირი ჩაატარეს და მთელი გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა, სარდლები ერთ დღეს გადააყენეს. ანალოგიურად კეთდებოდა სხვა პერიოდშიც.

– მაშინ თქვენ რა თანამდებობა გეჭირათ?

– საჰაერო ჯარების სარდალი ვიყავი. ჯამში, 2004-2008 წლებში, ომამდე, 7 ათასზე მეტი მხოლოდ ოფიცერი დაითხოვეს. ამით თავდაცვას ძალიან დიდი ზიანის მიადგა.

– ეს ხომ საკადრო რესურსის განულებაა?

– რესურსი, რაც ქვეყანას გააჩნდა გამოცდილი ოფიცრებისა და გენერლების სახით, ფაქტობრივად, რამდენიმე წელში გაანიავეს. ეს არის დივერსია, რა უნდა მომენატროს? შემდეგ გამართეს იარაღით ვაჭრობა იმისათვის კი არა, რომ თავდაცვისუნარიანობა აემაღლებინათ, არამედ ხდებოდა შესყიდვები შესყიდვებისთვის. შედეგად დღეს ვხედავთ მილიარდერ ყოფილ თავდაცვის მინისტრს.

– კეზერაშვილს.

– რა არის მოსანატრებელი? მე ვსაუბრობ მხოლოდ თავდაცვის სფეროზე, ისიც ძალიან რბილად. სერგო თეთრაძე თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი გახლდათ და მოკლეს. მსგავსი ფაქტები უამრავი იყო, ყველა სიკვდილით არ დამთავრებულა, მაგრამ არანაკლებ მძიმე ფაქტები ხდებოდა. თავდაცვის სამინისტროს, ფაქტობრივად, გადაუარეს.

– ასეთი დონის საკადრო წმენდამ 2008 წლის ომის წარმოების ეფექტზე გავლენა თუ მოახდინა?

– რა თქმა უნდა, მოახდინა. ვინმემ გამოიძია, ამ ყველაფერმა რა შედეგები იქონია? მეორე მხარეა, რამდენად მისცემდნენ ამ კვალიფიციურ ოფიცრებს გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას. არ მინდა, მათი კვალიფიკაცია დავაკნინო, ვინც ჯარში დარჩა, თუმცა, გარკვეული თანამდებობის პირების შესაბამისობა, მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებთან, ძალიან ბევრ კითხვას ბადებს.

ეს არ ეხება ყველას, მაგრამ პრობლემები იყო, რადგან კადრების ნაადრევი გაზრდა მოხდა, რაც დამაზიანებელია ნებისმიერი სფეროსთვის, გინდა – ჟურნალისტიკაში, გინდა – საბანკო სფეროში, გინდა – ჯანდაცვაში. ვთქვათ, ჯანდაცვას გამოაკელით პროფესორები, მედიცინის დოქტორები და დატოვეთ ახალგაზრდა პერსონალი, ნახავთ, რაც მოგვივა, სხვადასხვა მიზეზებს გამო, ისედაც პრობლემებია.

საკადრო წმენდამ ჯარზეც იმოქმედა. ვინ გამოიძია და ვინ შეაფასა, მაგრამ იქ იმდენად მაღალი იყო პოლიტიკური ჩარევა თავდაცვის ძალების მოქმედებების მართვაში, რომ, ალბათ, ის გამოცდილი გენერლებიცა და ოფიცრებიც ბევრს ვერაფერს გახდებოდნენ. უბრალოდ, პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტში შევიდოდნენ.

პირადად მე, ჩემ თანამდებობაზე რომ ვყოფილიყავი, ჩემი სახეობის მართვაში არავის ჩავრევედი, გარდა გენერალური შტაბის უფროსისა, რომლისგანაც დავალებას მივიღებდი. პოლიტიკური ჩარევის ხარისხი ძალიან მაღალი იყო და, საბოლოო ჯამში, არაკვალიფიციურობას იწვევდა.

– სააკაშვილი გვეკითხება, არ მოგენატრათ გამარჯვების ზეიმიო? ხომ არ გიფიქრიათ, სააკაშვილი რა გამარჯვებაზე საუბრობდა, რომელი გამარჯვება მოიპოვა?

– თუ ომზე საუბრობს, რომელ გამარჯვებაზეა საუბარი. სხვა კუთხითაც სერიოზულ მიღწევებს ვერ ვიხსენებ, გარდა საწყისი პერიოდისა, როცა რეფორმები დაიწყო, მოსახლეობას მართლა სერიოზული ცვლილებების მოლოდინი ჰქონდა. შევარდნაძეს ცვლილებების გამო უთხრა უარი და არა – დედმამიშვილობისა და სახელგვარის.

თავიდან მოლოდინი გაჩნდა, როდესაც ბიუჯეტის შევსება და თანხების გამოყოფა დაიწყო. მაშინ გვეგონა, სოროსი უხდიდა ხელფასებს როგორც სამხედროებს, ასევე სხვა ბიუროკრატიას. აღჭურვილობა ასევე ქველმოქმედება ყოფილა.

– ბიძინა ივანიშვილი იხდიდა და სოროსს მიაწერდნენ.

– მაგ დეტალებზეც რომ არ ვისაუბროთ, იმდენად არაკვალიფიციური გადაწყვეტილებების მიღება დაიწყეს, რომ მოლოდინები ძალიან მალე გაქარწყლდა. საკადრო კარუსელები, რომელიც ქვეყანაში მუდმივად ხორციელდებოდა, თავდაცვის სამინისტროსაც შეეხო. თავდაცვის მინისტრები ხშირად იცვლებოდნენ, რასაც საკადრო წმენდა მოჰყვებოდა ხოლმე. ამან ნეგატიური როლი იქონია.

რომელ გამარჯვებაზეა საუბარი, არ ვიცი. საერთაშორისო არენაზე თუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით რაიმე სერიოზული გარღვევა გვქონდა, თუ რა, გაუგებარია, სააკაშვილი რა გამარჯვებებზე საუბრობს. თვითონ გამარჯვებული იყვნენ, ალბათ, დღემდე შოკოლადში არიან.

– მაშინ რაზე დაყრდნობით შეიძლება საუბრობდეს სააკაშვილი სიახლესა და აღმშენებლობაზე?

– მისი აღქმებია ასეთი. გადახედონ სტატისტიკას, გადახედონ ციფრებს, როგორ უარესდებოდა ადამიანთა ყოფა. ვიღაც, შეიძლება, უკეთ ცხოვრობდა, მაგრამ გადახედეთ სიღარიბის დონეს, ინფლაციას. 2011 წელს ინფლაციების პიკი იყო (თუ არ ვცდები, 14%) 2007-ში, 2008-ში, 2009-ში.

– დღესაც იზრდება ფასები.

– ფასები დღესაც იზრდება, მაგრამ ხომ არ ვლაპარაკობთ, არ იზრდებაო. არავის არაფერს აყვედრებენ. ციფრები ყველაფრის მაჩვენებელია. გადახედონ სტატისტიკას – მიგრაცია ყველაზე დიდი ნაცების დროს იყო. მთელი ჩემი ახლო სანათესავო, სამეზობლო ზუსტად იმ წლებში გაიხიზნა. შემდგომშიც გააგრძელეს გასვლა, მაგრამ ყველაზე დიდი ნაკადი მაშინ წავიდა. ყველა, ვინც ქვეყნიდან მიდიოდა, გაუსაძლისი პირობების გამო გაიქცა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ჩამოწერეს (40 წელს ზევით). ეს ხომ გვახსოვს. შეიძლება, სააკაშვილს რაღაც ახსოვს ვარდისფერ ფერებში.

დღეს რომ შეიძლება ადამიანის უფლებების დაცვა, მაშინ ასე არ იყო. ოღონდ ვინმე იპოვონ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ და მთელი არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციური მედია ფეხზე დადგება. მაშინ არასამთავრობო სექტორი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. მცირე გამონაკლისების გარდა, ყველა წნეხის ქვეშ იყო. მედიას ერთი პარტია მართავდა, გარდა მცირედი გამონაკლისისა, კავკასიის ტიპის მედიისა, სადაც კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი, მაგრამ შეზღუდული აუდიტორია ჰყავდა. მაშინ სამსახურის დაკარგვის გამო, ხმის ამოღებას ვინ გაბედავდა? ხმას ამოიღებდა და უარესს უზამდნენ. ფაქტები გვახსოვს. დღეს ყველაფერი ცნობილია, როგორ იქცეოდნენ. თავის წარსულს მისტირიან. ჩვენ თავი დაგვანებონ. გამუდმებით წარსულზე საუბარი უკვე ძალიან მომაბეზრებელია.

სააკაშვილი სასჯელს იხდის. სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით თუ რაიმე პრეტენზიები აქვს, სტრაბურის სასამართლოს მიმართოს და გაარკვიონ. ჩვენ ყოველი ხელისუფლების შემდეგ, უკეთესი ხელისუფლება და უკეთესი ხვალინდელი დღე გვინდა. ჩვენ ისეთი წარსული არ გვაქვს (არც სააკაშვილის ხელისუფლებისა და არც შევარდნაძის სახით), რომ უკან დაბრუნება მოგვინდეს.

ამიტომ ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი უნდა იყოს. „ოცნების“ ხელისუფლების შემდეგ, უკეთესი ხელისუფლება უნდა მოვიდეს. იმის შემდეგ კიდევ უკეთესი ხელისუფლება უნდა გვყავდეს. წარსულში ხელისუფლებაში მყოფი უნდა დაბრუნდეს იმ შემთხვევაში, თუ გაიაზრებს, მოსახლეობამ მას უარი რატომ უთხრა.

როდესაც „ქართულ ოცნებას“ უარს ეტყვიან 2024-ში იქნება, 2028-ში თუ 2048-ში, ეს მის საქმიანობაზეა დამოკიდებული. ნაცმოძრაობას 2012 წელს უთხრეს უარი. გაიაზრონ, რატომ უთხრეს უარი და რატომ არ ენატრება მოსახლეობას 2012 წელში დაბრუნება. თუ ვერ გაიაზრებენ, მუდმივად ოპოზიციაში იქნებიან და იმ საპატიო მეორე ადგილსაც დაკარგავენ.

თუ ნაციონალები ამ გზით სვლას გააგრძელებენ, თუ ვერ მოახერხებენ გააზრებას, თუ ვერ მოახერხებენ პოლიტიკური ლიდერების კარდინალურ გადახალისებას (მათ შორის, იმ ახალი, აგრესიული სახეებისას, რომელიც შემოიყვანეს), იმ საპატიო მეორე ადგილსაც დაკარგავენ. ცარიელი ადგილი ყოველთვის შეივსება. დღეს ოპოზიციურ ფლანგზე სერიოზული სიცარიელე და არჩევანის სერიოზული სიმწირეა.

„პრეზიდენტს შეუძლია ისტორიაში სალომე გამაერთიანებლის სახელით შევიდეს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რობაში მუშაობდა. მაშინ ჟურნალისტს რომ ეკითხა რომელიმე აქტივისტისთვის, გეტყოდნენ, რომ არა და არასდროს. საშინელი დაპირისპირება იყო, ოჯახები ინგრეოდა ამის გამო და ადამიანების სიცოცხლე შეეწირა მაშინ იმ დაპირისპირებას.

ამიტომ, არ მგონია, რომ ეს შეუძლებელია. არც ის არ მგონია, რომ ფანტასტიკის სფეროა. საბოლოო ჯამში, ხომ ყველამ უნდა ვიცხოვროთ ამ ქვეყანაში?! მესმის, რომ არიან ადამიანები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს ძალიან დაზარალდნენ. მათთვის სიტყვა „შერიგება“ რაღაც ისეთია, უსამართლობის განცდას უმწვავებს მათ. ეს რეალობა დგას.

ჩვენ ვამბობთ ასეთ რამეს, რომ მათთან ურთიერთობა სამართლებრივ ჭრილში გაარკვიოს იმ მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც პოლიტიკურ სასამართლოში არ იქნება. ბოდიშს მოუხდის მათ, დააყენებს საკითხს, რომ გადაიხედოს ყველა საქმე, ან რაღაცა ზარალი აუნაზღაურდეთ ადამიანებს თუ რა, არ ვიცი. სხვადასხვა ფორმაა... სხვადასხვა ტიპის და შინაარსის დაზარალებულები არსებობენ. ამის შემდეგ უნდა დავიწყოთ ამაზე საუბარი, რაც მიხეილ სააკაშვილი საპატიმროში არ იქნება.

დღეს, რასაც სააკაშვილს ედავებიან, ხომ შეიძლება ეს საკითხი სალომე ზურაბიშვილის მიმართაც დადგეს?! რატომ? სალომე ზურაბიშვილმა არ შეიწყალა მკვლელები თუ მან არ დახარჯა თანხები არამიზნობრივად?! ეს დასკვნები დადო ამავე ხელისუფლების აუდიტმა და შემდეგ გახსოვთ, რომ ანგარიშები მალე დაიხურა. მაგრამ, ჩვენ ხომ არ ვამბობთ, რომ სალომე ზურაბიშვილიო?! – არა. ჩვენ ვამბობთ, რომ თუ შერჩევითი მართლმსაჯულება არ არის და ზურაბიშვილი თუ არ ისჯება, სააკაშვილი რატომ ისჯება იგივე მუხლით?! ან იგივე გირგვლიანის საქმეზე როცა ვსაუბრობთ, ეს არის საქმე, რომელიც მართლა უმძიმესი შავი ლაქაა წინა ხელისუფლების, მაგრამ ხალხს უნდა ესმოდეს, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტს გირგვლიანის საქმისთვის კი არ ასამართლებენ, არამედ სასჯელის განახევრებისთვის, რომელიც შეიწყალა იმ მოსამართლემ, რომელიც დღეს საქალაქო სასამართლოში მოსამართლეა. საბოლოო ჯამში, თავისუფლება მოხდა ამ მოსამართლის მიერ.

– მოსამართლე, რომელიც დღესაც ამბობს, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

– დიახ, იგივეს გავაკეთებდიო. ეს იცით, როგორ არის? ხმაურიანი საქმეებია. მაგალითად, „იმედის“ დარბევა, მაგრამ არსად არ წერია იქ, რომ მიხეილ სააკაშვილმა გასცა ბრძანება „იმედის“ დარბევასთან დაკავშირებით. ნინო ბურჯანაძის ჩვენებაა, რომელიც პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს, რომ იცოდა მიშამ და არ გაიკვირვა. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ ასეთი ტიპის სამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს ყველა მაღალჩინოსანზე. თუ ვამბობთ, რომ 20 ივნისთან დაკავშირებით დადგა ამნისტია ბოლო შეთანხმების საფუძველზე, მაშინ რითი განსხვავდება?! ჩემთვის უფრო მძიმეა 20 ივნისი, მაგრამ სუბიექტური მიდგომიდან გამოვიდეთ. როდესაც ვამბობთ, რომ პოლიტიკური პატიმარია, ამას ვგულისხმობთ.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც სულაც არ მიიჩნევენ მას უდანაშაულოდ, მაგრამ ესმით პოლიტიკური მნიშვნელობა იმის, რამდენად არღვევს ეს ქვეყანაში სიმშვიდეს. ამიტომ მივდივართ სალომესთან, რომელსაც ვეუბნებით, რომ საქართველოს ისტორიაში შეიძლება შევიდეს პრეზიდენტად, რომელმაც ქვეყანა შეარიგა. სალომე გამაერთიანებელი რომ დაერქმევა... ისტორიაში 50 თუ 100 წლის მერე რომ დაარქმევენ სალომე გამაერთიანებელს. მე მგონი, ამაზე მაგარი სტატუსი არ იარსებებს.

– ალბათ ძალიან რთული მისაღწევი იქნება სააკაშვილის გათავისუფლების გარეშე სტაბილურობის მიღწევა.

– წარმოუდგენელია. მილიონზე მეტი ადამიანი ამბობს, რომ ოპოზიციურად განწყობილია. შეიძლება მიშა არ მოსწონს და ირჩევს „ლელოს“, „გირჩს“ ან სხვა პარტიას, მაგრამ ოპოზიციურად განწყობილია, რომელიც ამბობს, რომ მე მიშა პრემიერად არ მინდა, მაგრამ ციხეშიც არ მინდა. ეს აზარალებს ქვეყანას პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც.

– მაგალითად, მე ვარ მაგ კატეგორიაში, რომელიც ეწინააღმდეგება პოლიტიკურ მართლმსაჯულებას, მაგრამ არც მიშას მხარდამჭერი ვარ.

– შეიძლება მიშა არ გინდოდეს პრემიერად, მაგრამ სამარცხვინოა, როდესაც ქვეყნის პირველი პირი სამართლდება. პუტინს უნდა და თუნდაც მარტო ამის გამო არ გინდათ მისი ციხეში ყოფნა.

– ხშირად გვიჭირს ხოლმე იმის გარჩევა, რომ აქ სახელი და გვარი მიხეილ სააკაშვილი კი არ არის გადამწყვეტი, არამედ აქ ვსაუბრობთ ქვეყნის პრეზიდენტზე – ინსტიტუციაზე.

– ზუსტად. თქვენ რას მეუბნებით, რომ ედუარდ შევარდნაძეს არ ექნებოდა სამართლებრივი პრობლემები, ასე რომ მიდგომოდნენ?! ან ზვიად გამსახურდიას, ან ნებისმიერს?! საკითხი ხომ ასე არ დგას, საკითხი დგას ისე, რამდენად ვუნარჩუნებთ ქვეყანას ნამუსს. სალომეს მართლა რეალური შანსი აქვს, რომ ეს ვითარება შეცვალოს. მე მაინც მგონია, რომ რამდენიმეკაციან ჯგუფს შეხვდება. მეუბნებიან ოპტიმისტი ხარო, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ შეხვდება.

– თქვენ რატომ არ აპირებთ, რომ იმ ჯგუფში იყოთ?

– იმიტომ, რომ არ არის სწორი. მე მაქვს რადიკალური დამოკიდებულება მის მიმართ და მან იცის, რომ მე არ ვიქნები გულწრფელი, შევიდე და ვუთხრა, რომ შეიწყალოს მიშა. მე ვთვლი, რომ სალომეს შესაწყალებელი პრეზიდენტი არ გვყავს. ამიტომ, ამ მოლაპარაკებაში გულწრფელი არ ვიქნები. ამიტომაც არ გვინდა, რომ რაღაცამ დააბრკოლოს ან შეაფერხოს სწორი მოლაპარაკება. ამიტომ, მე არ შევალ იქ. მაგალითად, იქ როდესაც შევა თეონა დოლენჯაშვილი, მას, რომელიც „ლელოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელია, სალომე ვერ ეტყვის, რომ სუბიექტური ხარო. ამიტომ, იქ შევიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც არ არიან სააკაშვილის პოლიტიკური მხარდამჭერები, მაგრამ მისი თავისუფლება სურთ.

„სანამ მოკლავდნენ, 1 საათით ადრე მოპედით სეირნობდა“

რას იხსენებენ დავით კრავეიშვილის მეგობრები

15 წლის დავით კრავეიშვილის მკვლელობის ფაქტზე საგამოძიებო მოქმედებები ამ დრომდე მიმდინარეობს. არსებობს ვერსია, რომ კონფლიქტი გოგოს გამო დაიწყო.

მოკლულის მეგობრები, რომლებმაც კრავეიშვილი შემთხვევამდე 1 საათით ადრე ნახეს, ამბობენ, რომ საეჭვო ვერაფერი შენიშნეს.

– სანამ მოკლავდნენ, ერთი საათით ადრე ვნახეთ. მოპედით სეირნობდა, მოვიკითხე, დახმარება ხომ არ გინდა-მეთქი, არაო. შესაძლოა, მართლაც გოგოს გამო მომხდარიყო. ჩვენ მკვლელობაში ეჭვმიტანილებს არ ვიცნობდით და, მგონი, არც თვითონ იცნობდა, – ამბობენ მეგობრები.

ერთ-ერთი არასრულწლოვანის მამამ 15 წლის მოზარდის მკვლელობის საქმეზე, ოჯახის პოზიცია „კურიერს“ ექსკლუზიურად გააცნო. – თუ ბრალდებული არასრულწლოვანი დამნაშავეა, მშობელი მზადაა, რომ მისმა შვილმა კანონის წინაშე პასუხი აგოს.

მამა მკვლელობის დეტალებზე ვერ საუბრობს, ამბობს მხოლოდ იმას, რომ დაინტერესებულია გამოძიებით და სამართალდამცველებთანაც მაქსიმალურად თანამშრომლობს როგორც თავად, ასევე მისი შვილიც.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 15 წლის მოზარდის განზრახ მკვლელობის და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე დაკავებულ ორ არასრულწლოვანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

როგორც პროკურორი ლევან ვეფხვაძე აცხადებს, მოსამართლემ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რადგან არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის, მოწმეებზე ზემოქმედების და მიმალვის საფრთხე.

– სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის შუამდგომლობა დასაბუთების ნაწილში. ბრალდების მხარეს მიაჩნია და მიაჩნდა, წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომ ორივე არასრულწლოვანი ბრალდებულის მხრიდან არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის მომეტებული საფრთხე, მოწმეებზე ზემოქმედების და მათ შორის, მიმალვის საფრთხე. სასამართლომ აღნიშნულის სრულად გაიზიარა და მიიჩნია, რომ ამ ეტაპზე უნდა იყოს ორივე არასრულწლოვანის მიმართ გამოყენებული პატიმრობა და ჩაინიშნა შემდეგი სასამართლო პროცესი და ამ ხნის განმავლობაში ორივე ბრალდებული იქნება პატიმრობაში, – განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

საქმეზე მომდევნო სასამართლო სხდომა 6 იანვარს ჩაინიშნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 4 დეკემბერს თბილისში, სანზონის დასახლებაში, ურთიერთშელაპარაკების დროს ერთ-ერთმა ბრალდებულმა არასრულწლოვანს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა, რომელიც მიყენებული დაზიანების შედეგად გარდაიცვალა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მეორე ბრალდებულმა რომელიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა და დანამდვილებით იცოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებრივი ქმედების შესახებ, მომხდარი ფაქტი სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინა.

ერთ ბრალდებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მკვლელობა), ხოლო მეორეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის მეორე ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა) წარედგინა.

გურჯაანში პატიმარი გარდაიცვალა

რამდენიმე დღის წინ გურჯაანის დროებითი მოთავსების იზოლატორში პატიმარი გარდაიცვალა.

41 წლის კაცი ოჯახში ძალადობის ბრალდებით იყო დაკავებული. შემთხვევის დღეს მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე უნდა ემსჯელათ.

ერთ-ერთი ვერსიით, კაცს ეპილეფსიური შეტევა დაემართა და მედიკოსებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

საქმეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური 342-ე მუხლის მეორე ნაწილით იძიებს, რაც სამსახურებრივ გულგრილობას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ДЕЗЕРТИРЕБИС ბაზართან ხორცის ობიექტებს საწარმოო პროცესი შეუჩერდა

სურსათის ეროვნული სააგენტო აგრარულ ბაზრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ხორცის სარეალიზაციო ობიექტებს ამოწმებს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს.

თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტირების ჯგუფებმა სახელმწიფო კონტროლი განახორციელეს დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ე.წ გვირაბში, სადაც წინა წლებში ხშირად აღინიშნებოდა დარღვევები.

„შემოწმებული 10 ობიექტიდან კრიტიკული შეუსაბამობების გამო, დაჯარიმდა და საწარმოო პროცესი შეუჩერდა 6 ბიზნესოპერატორს (5 ინდმეწარმეს და შპს „დანტეს“). ინსპექტირების შედეგად დაილუქა გაურკვეველი წარმომავლობის 40 კილოგრამი ხორცი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირის ზედამხედველობით განადგურდა“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

ფონიჭალაში სომხეთიდან მომავალი ტრაილერი 70 წლის კაცს დაეჯახა

გუშინ, 7 დეკემბერს, რუსთავი-თბილისის დამაკავშირებელ გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთზე სომხეთიდან მომავალი ტრაილერი 70 წლამდე კაცს დაეჯახა, რომელიც ე.წ. ზებრა გადასასვლელზე გადადიოდა. მომხდარის შედეგად კაცი ადგილზე გარდაიცვალა.

ტერიტორიაზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები იყო მობილიზებული.

ავარიის გამო, დაახლოებით 1 საათის განმავლობაში რუსთავი-თბილისის ცენტრალურ გზაზე მიმოსვლა შეჩერებული იყო.

სააკაშვილის მონაცემების გასაჯაროებისთვის იუსტიციის სამინისტრო და პენიტენციური სამსახური 2.500 ლარით დაჯარიმდნენ

სახელმწიფო ინსპექტორის აპარატმა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების გასაჯაროების საკითხზე მოკვლევა დაასრულა და დადგინა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა აღნიშნული მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით გაასაჯაროვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო ინსპექტორმა იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრა. კერძოდ, ორივე უწყებას ჯარიმა საერთო ჯამში, 2.500 ლარის ოდენობით.

ინსპექტორის სამსახურმა სააკაშვილის პერსონალური მონაცემების დარღვევად მიიჩნია, მათ შორის, ინფორმაცია ყოფილი პრეზიდენტის მიერ პენიტენციური დაწესებულების მაღაზიაში შეძენილი და მოხმარებული პროდუქტებისა და მისი კვების რაციონის შესახებ, მიხეილ სააკაშვილის მიერ სამედიცინო პუნქტში საკვების მიღების ფაქტების ამსახველი ვიდეოჩანაწერი და გარკვეული საკვები დანამატების ამსახველი ფოტომასალა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით დაეკისრა ჯარიმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის.

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით დაეკისრა ჯარიმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის.

„ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალათ სოციალური ქსელ ფეისბუქის, ასევე, ოფიციალური ვებგვერდებიდან მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერებისა და აუდიო-ვიდეო ჩანაწერის წაშლა“ – ნათქვამია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ნონა გაფრინდაშვილის საქმის მოსმენა ნეტფლიქსის წინააღმდეგ 24 იანვარს კალიფორნიაში დაინიშნა

ქართველი მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილის უფლებადამცველის ინფორმაციით, „გაფრინდაშვილი „ნეთფლიქსის“ წინააღმდეგ“ საქმეზე პირველი სასამართლო პროცესი კალიფორნიის შტატში, 24 იანვარს დაინიშნა.

ქართველი მოჭადრაკე ამერიკული კომპანიისგან ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ 5 მილიონ დოლარს მოითხოვს.

როგორც ადვოკატმა მაია მწარიაშვილმა გუშინ, 7 დეკემბერს, გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, სასამართლო დავა შეეხება ეპიზოდს, სადაც საუბარია, რომ ნონა გაფრინდაშვილს არასდროს უთამაშია მამაკაცებთან და მოხსენებულია რუს მოჭადრაკედ. კომპანია „ნეტფლიქსმა“ წარმოადგინა დაცვის ტრადიციული გზა და იშუამდგომლა სამართალწარმოების შეწყვეტაზე, რაც „არადამჯერებლად და სუსტად გამოიყურება“.

– ჩვენ მოვითხოვთ დაევალოს კომპანია „ნეტფლიქსს“, „დაეკისროთ ზიანის ანაზღაურება 5 მილიონი დოლარის სახით და დეფამაციური ფრაზის გამოსწორება სერიალში. პირველი სასამართლო მოსმენა ამ საქმეზე დაინიშნა 24 იანვარს, კალიფორნიის შტატში. მოლოდინი გვაქვს ძალიან პოზიტიური, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წინასწარი შედეგის გამოცნობა შეგვიძლია, მაგრამ ამ ეტაპზე სტრატეგიულად კიდევ უფრო წინ ვართ, ვიდრე მაშინ, როდესაც შევიტანეთ სარჩელი. ჩვენი სურვილია სასამართლოს ვაჩვენოთ, რომ ზედაპირზე დევს „ნეტფლიქსის“ ბოროტი განზრახვა – შეეცვალა სწორი ფრაზა არასწორი ფრაზით, – აღნიშნა მაია მწარიაშვილმა.

საქმის მიმდინარეობისას აღნიშნული სერიალის პროდიუსერი და სცენარისტი გამოიკითხა.

– ჩვენ გამოვკითხეთ ამ სერიალის პროდიუსერი და სცენარისტი ფრენკ სკოტი, რომელიც „ნეტფლიქსმა“ მოიშველია საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, ის იძულებული გახდა, დაედასტურებინა გარკვეული გარემოებები, მან იცოდა, რომ ნონა გაფრინდაშვილი იყო რეალური ადამიანი, ასევე ეცოდინებოდა, რომ მისი პროფესიის დიდი ნაწილი ეთმობოდა მამაკაცებთან თამაშს, თუმცა მაინც განგებ შეცვალა ეს. პრეზუმპცია იმისა, რომ ამ ფრაზის შემცვლელი კეთილშობილური მიზნებით არ მოქმედებდა, ძალიან მაღალია.

სანამ სასამართლოს მივმართავდით, ჯერ მივმართეთ „ნეტფლიქსს“, ვთხოვეთ არასწორი ინფორმაციის გასწორება სცენარში, ეს მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, სერიოზულობით არ მიუდგნენ ამ საკითხს, ამიტომ მივედით სასამართლომდე. მხარეებს ყოველთვის შეუძლიათ მორიგდნენ, მივიდნენ გარკვეულ შეთანხმებამდე, მაგრამ პროცესი იწყება იანვარში და ვნახოთ, სადამდე მივალთ, – აღნიშნა მაია მწარიაშვილმა.

ყოფილ ჩხოროწყუელ პოლიციელს მამაკაცის გაუპატიურებისთვის 5 წელი მიესაჯა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ გაუპატიურებაში ბრალდებულ მამაკაცს 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. აირი დარსალიას გამოძიება 25 წლის მამაკაცისადმი ჩადენილ სექსუალური ხასიათის დანაშაულს ედავებოდა.

დარსალიას ოჯახი ბრალს კატეგორიულად არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ მსჯავრდებული უდანაშაულოა.

შემთხვევა ჩხოროწყუში 2019 წელს მოხდა. მსჯავრდებული ყოფილი პოლიციელია.

დაზარალებულმა მამაკაცმა 2 წლის წინ ტელეკომპანია „მთავარისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მომხდარზე ისაუბრა და განაცხადა, რომ დარსალიამ ის იარაღის მუქარით გააუპატიურა.

როგორც საუბრიდან ირკვევა, ახალგაზრდა მამაკაცი მანამდე ოჯახური ძალადობის მსხვერპლი იყო, რის გამოც ჩხოროწყუს პოლიციაში არაერთხელ ყოფილა. სნორედ აქედან იცნობდა აირი დარსალიას.

– ძველ, დანგრეულ შენობასთან გაჩერდა. თავისივე მანქანით იყო, რადგან ვცნობ მის ავტომობილს, აღრეც ვმჯდარვარ. უცებ გადმოვიდა, დაიწყო ზემოდან გახდა და იარაღი ამოიღო. ტანსაცმელი წინა სავარძელზე დაყარა. როგორც კი გამოძრავებას ვიწყებდი, იარაღისკენ იწეოდა. მერე მუქარაზეც გადავიდა – გინდა არ გინდა, შენთან სექსი უნდა მქონდესო. შემდეგ ჩამომსვა შუა გზაში, გამაფრთხილა, რაიონში არ გავსულიყავი და თუ ამ თემას გავახმაურებდი, ძალიან ცუდი რამ მოჰყვებოდა ამას, – გაიხსენა დაზარალებულმა.

შეიქმნეს 2 მილიონი ლარის ფიქტიური აქტივი

3 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების, სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანებისა და დიდი ოდენობით ქონების თვალთმაქცური გარიგებით გადამალვის ფაქტებზე, სამი პირი დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მათი მართვის ქვეშ მყოფი ერთ-ერთი კომპანიის სახელით, 2016-2018 წლებში საგადასახადო ორგანოში წარადგინეს დაზუსტებული დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციები, რომელშიც დააფიქსირეს ყალბი მონაცემები, რითაც შეიქმნეს ფიქტიური აქტივი, ჯამში 2.209.207 ლარის ოდენობით, რომელიც შემდგომ გამოიყენეს ბიუჯეტის მიმართ არსებული საგადასახადო ვალდებულებების დასაფარავად.

„გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ ბრალდებულებმა, მოსალოდნელი ქონებრივი ვალდებულებისგან თავის არიდების მიზნით, მათი მართვის ქვეშ მყოფი კომპანიის სახელზე არსებული 3.103.197 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება, თვალთმაქცური გარიგებებისა და ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურების გამოწერის გზით, გადააფორმეს მათივე მართვის ქვეშ მყოფი სხვა კომპანიის სახელზე, რითაც სახელმწიფოს წაერთვა შესაძლებლობა აღნიშნული ქონების რეალიზაციით ამოეღო კომპანიის დავალიანება ბიუჯეტის მიმართ. ამავე დროს, აღნიშნული თვალთმაქცური ოპერაციის შედეგად, გარიგებაში მონაწილე კომპანიამ მიიღო 1.146.101 ლარის ოდენობის დამატებული ღირებულების გადასახადის ე.წ. ფიქტიური ჩათვლა, საიდანაც 399.128 ლარი გამოიყენა საბიუჯეტო გადასახადების დაფარვის მიზნით.

გამოძიების პროცესში, ბიუჯეტზე მიყენებული ზიანის ამოღების უზრუნველსაყოფად, დაყადაღებულ იქნა ბრალდებულების სახელზე რიცხული უძრავი და მოძრავი ქონება, ასევე საბანკო ანგარიშები.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილით, 185-ე და 205-ე პრიმა მუხლების მეორე და მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით“ – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პოლონეთს მიგრანტების ბელარუსში გაძევება აეკრძალა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პოლონეთს მიგრანტების ბელარუსში გაძევება აუკრძალა.

აკრძალვა იმ მიგრანტებზე გავრცელდება, რომლებიც ბელარუსის გავლით პოლონეთის ტერიტორიაზე მოხვდნენ და სასამართლოს დახმარების თხოვნით მიმართეს.

სტრასბურის სასამართლოს ცნობით, 20 აგვისტოდან 3 დეკემბრის ჩათვლით, მათ 198 მიგრანტისგან 47 განცხადება მიიღეს. განცხადებების უმეტესობაში მიგრანტები აცხადებენ, რომ საერთაშორისო დაცვა და თავშესაფარი სჭირდებათ.

პოლონეთის ხელისუფლების ინფორმაციით, იმის მიუხედავად, რომ ბელარუსმა საზღვარზე მყოფი მიგრანტები თავშესაფარში გადაიყვანა, ბელარუს-პოლონეთის საზღვრის უკანონოდ კვეთის შემთხვევები კვლავ ხშირია.

საფრანგეთში ღამის კლუბები 1 თვით იხურება

კორონავირუსის შემთხვევების ზრდის გამო, საფრანგეთში ღამის კლუბები ერთი თვით დაიხურება. ამის შესახებ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა, ჟან კასტექსმა განაცხადა.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, აღნიშნული ზომა 10 დეკემბრიდან ამოქმედდება.

– ვირუსი ახალგაზრდებში ცირკულირებს და ასეთ ადგილებში პირბადის ტარება რთულია. აღნიშნულ ზომას დაინტერესებული პირების ეკონომიკური მხარდაჭერით გავატარებთ, – აღნიშნა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა.

საფრანგეთში კორონავირუსის ომიკრონი შტამის 25 შემთხვევა დადასტურდა.

მოსკოვში მამაკაცმა პირბადეზე უარი თქვა და 2 ადამიანი მოკლა

გუშინ, 7 დეკემბერს, მოსკოვში, მრავალფუნქციურ ცენტრ „რიაზანსკში“ სროლის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და სამი დაშავდა.

„მრავალფუნქციურ ცენტრ „რიაზანსკში“ ტრაგედია მოხდა. სროლის შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა, სამი კი დაშავდა. მკვლელი დაკავებულია. ექიმები ყველაფერს აკეთებენ დაშავებულების დასახმარებლად“– წერს მოსკოვის მერი სობიანინი ტვიტერში.

ერთ-ერთი დაშავებული ბავშვია.

მამაკაცმა სროლა მაშინ დაიწყო, როცა პირბადის გაკეთებაზე უარის თქმის გამო დაცვის სამსახურის თანამშრომელმა მისი ცენტრიდან გაყვანა სცადა.

უკრაინაში ავტობუსი სატვირთოს დაეჯახა

10 ადამიანი დაიღუპა

უკრაინაში, ჩერნიგოვის ოლქის ბრუსილივის რაიონში სამგზავრო ავტობუსისა და სატვირთო ავტომობილის შეჯახების შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა.

ინფორმაციას მედია უკრაინის საგანგებო სიტუაციების სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

„7 დეკემბერს, ჩერნიგოვის ოლქის სოფელ ბრუსილივთან, ჩერნიგოვი-გრემიაჩის გზაზე, სატვირთო მანქანა ჩერნიგოვი-სოსნიცის მარშუტზე მოძრავ სამგზავრო ავტობუსს შეეჯახა“ – აცხადებენ სამსახურში.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა, 7 კი დაშავდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ღობეში გაჭედილი ზღარბის გადარჩენა ორ მამაკაცს კინაღამ დაპატიმრებად დაუჯდა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ გოლდკოსტში ორმა მამაკაცმა მშენებლობის ღობეში გაჭედილი ავსტრალიური ზღარბი შენიშნა. ისინი მის გადარჩენას შეეცადნენ და კინაღამ პოლიციამ დააკავა, ვინაიდან დამნაშავეებად მიიჩნია. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა დაკავებულმა ტიკტოკში გამოაქვეყნა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ ათავისუფლებს ორი ავსტრალიელი მშენებლობის ღობიდან იშვიათ ცხოველს. ისინი გადარჩენილს პლასტმასის ყუთში ათავსებენ და მიდიან.

მოულოდნელად მათთან მიდის პოლიციელი. ჩანაწერში ისმის, როგორ უმეორებს მათ რამდენიმეჯერ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი: „გაჩერდით და მიწაზე დაწექით“. მეგობრები ცდილობენ განუმარტონ, თუ რა ხდება, მაგრამ პოლიციის ოფიცერი მათ სიტყვას აწყვეტინებს. „დაწექით ამ ჯანდაბა მიწაზე, სანამ არ გავერკვევი, აქ რა ხდება. ხალხმა შეგვატყობინა, რომ თქვენ მათ ტერიტორიაზე იმყოფებით. შეასრულეთ ბრძანება!“ – ეუბნება პოლიციელი.

მეგობრები ისევ ცდილობენ, პოლიციელს აუხსნან ყველაფერი, მაგრამ სამართალდამცავს მათი მოსმენა არ უნდა მანამ, სანამ მათთან მშენებლობიდან ორი მუშა არ მიდის.

– ასეთი რა დაინახეთ? ისინი ამბობენ, რომ ცხოველი გადაარჩინეს. თუ რაიმე საეჭვოს აკეთებდნენ, მაშინ უნდა ახსნან, კონკრეტულად რას, – დაჟინებით მოითხოვს პოლიციელი.

– ღობე ავწიე, ვინაიდან მის ქვეშ ზღარბი იყო გაჭედილი, – პასუხობს ერთ-ერთი დაკავებული.

ბოლოს და ბოლოს, პოლიციელი მიხვდა, რომ მუშების ეჭვი, თითქოსდა ისინი მავთულებს ჭრიდნენ, არ დადასტურდა.

აღნიშნულმა ვიდეომ 500 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა და სოციალური ქსელის მომხმარებელთა დიდმა უმრავლესობამ სამართალდამცავები საქმისადმი უცერემონიო მიდგომის გამო გაკიცხა.

განცხადება

ნელი გოთოშიას მემკვიდრეთა საყურადღებოდ!

30.09.1999 წელს გარდაცვლილი ნელი გოთოშიას სამკვიდროს უმკვიდროდ ცნობის პროცესი მიმდინარეობს ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ნოტარიუს ოთარ ზოიძესთან (ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული).

დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ ნოტარიუს ოთარ ზოიძეს.

ბელგიაში ორი ბეჰემოთი კორონავირუსით დაავადდა

ბელგიის ქალაქ ანტვერპენის ზოოპარკში ორ ბეჰემოთს კორონავირუსი დაუდგინდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ცხოველებს, სახელად იმანი და გერმიენი, გაციების ნიშნები გამოუვლინდათ, რის შემდეგაც ვეტერინარებმა მათ ანალიზები აუღეს. ჯერჯერობით უცნობია, რატომ დაავადდნენ ბეჰემოთები, რადგან ზოოპარკი მკაცრ სანიტარიულ ნორმებს იცავდა და მისი თანამშრომლები ინფიცირებულები არ ყოფილან.

– რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ეს ამ სახეობისთვის პირველი შემთხვევაა. მთელ მსოფლიოში ეს ვირუსი ადამიანის მსგავს მაიმუნებსა და კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლებშია დარეგისტრირებული, – განაცხადა ვეტერინარმა, რომელმაც ბეჰემოთებს ანალიზები აუღო.

ამ დროისთვის ცხოველები თავს კარგად გრძნობენ, თუმცა სრულ იზოლაციაში იმყოფებიან. დაწესებულების თანამშრომლები კი დამცავი სამედიცინო ნიღბებისა და ფეხსაცმლის გარდა ასევე იყენებენ დამცავ სათვალეებს, თავს არიდებენ სხვა ცხოველებთან კონტაქტს და ყოველდღე გადიან ექსპრესტესტს. კორონავირუსზე უარყოფითი შედეგის მიღებამდე ვოლიერი დამთვალიერებლებისთვის დახურულია.

სადაზღვევო თანხის მისაღებად ქმარმა ცოლი მოწამლა

ჩინეთის პროვინცია ჩჟეცზიანის სასამართლომ მოვალის საქმე განიხილა, რომელიც მეუღლის მოწამვლაშია ბრალდებული სადაზღვევო თანხის მისაღებად და რომელთანაც მხოლოდ ორი თვის დაქორწინებული იყო.

მამაკაცმა, გვარად დაიმ, შეყვარებული, გვარად ვანი, დაარწმუნა ორი მილიონი იუანის დაზღვევა შეეძინა. დაზღვევას მის მამას გადაუხდიდნენ. წყვილმა ივლისში იქორწინა და ოთხი დღის შემდეგ მამაკაცმა ბენეფიციარის გვარი საკუთარით ჩაანაცვლა.

დაი ეჭვმიტანილია იმაში, რომ ქორწინებიდან ორი თვის შემდეგ მარგალიტის ფხვნილი კაფსულებში ფარულად შეცვალა შხამით და ვანი მოტყუებით აიძულა ორი აბი დაელია. სავარაუდოდ, მამაკაცი მეუღლის მოკვლას რამდენიმე თვის განმავლობაში გეგმავდა. პროკურორების თქმით, მამაკაცი თავისი ხუთი მეგობრის სახელს იყენებდა, მოსაწამლი საშუალებისთვის ინგრედიენტების შესაძენად. დაიმ შეიძინა გამომშრალი თევზი ფუგუ და შხამი ტეტროდოტოქსინი, რომელიც ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში გამოიყენება.

კოლეგებმა ქალი გარდაცვლილი მას შემდეგ აღმოაჩინეს, როდესაც სამსახურში ორი დღის გამოუცხადებლობის შემდეგ სახლში მიაკითხეს.

წინასწარი მონაცემებით, დაიმ მეუღლე იმის იმედით მოწამლა, რომ სადაზღვევო თანხას მიიღებდა. მამაკაცს 2,6 მილიონი იუანის დავალიანება ჰქონდა კრიპტოვალუტაში განხორციელებული წარუმატებელი ინვესტიციის გამო.

მამაკაცმა მეუღლის მკვლელობაში თავი დამნაშავედ ცნო. სასამართლო განაჩენს მოგვიანებით გამოიტანს.

თხამ სახელმწიფო დაწესებულებიდან საბუთები გაიტაცა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ კანპურში თხამ სახელმწიფო დაწესებულებიდან საბუთები გაიტაცა და მისი თანამშრომლების შეძახილების ფონზე გაიქცა.

ცხოველი ადგილობრივი თვითმმართველობის პანჩაიატას ოფისის ცარიელ კაბინეტში შევიდა და ხუთ წუთში იქიდან კბილებით მაგრად ჩაბღუჯული საბუთებით გამოვარდა. დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელმა, რომლებიც შესასვლელთან ისხდნენ, ცხოველი შენიშნეს. ერთ-ერთი მათგანი თხას გამოეკიდა, მეორემ კი ყვირილი ატეხა: „მოგვეცი ჩვენი ქაღალდები!“

ვიდეოჩანაწერში, რონელიც ვირუსული გახდა სოციალურ ქსელებში, ჩანს თუ როგორ გარბის თხა გატაცებული ქაღალდებით პირგამოტენილი. დაწესებულების თანამშრომელი მის დაწევას ცდილობს. საბოლოოდ ჩინოსნებმა მოახერხეს ცხოველისთვის საბუთების წართმევა, თუმცა მათი ნაწილის გაფუჭება თხამ მაინც მოასწრო.

პანაიატას წარმომადგენლის მანულალ იადავის თქმით, ცხოველის მიერ გატაცებულ საბუთებს შორის რაიმე ღირებული საბუთი არ ყოფილა. მან ასევე აღნიშნა, რომ ცხოველმა ამის გაკეთება იმიტომ მოახერხა, რომ ოფისის თანამშრომლები მუშაობის ნაცვლად გარეთ ისხდნენ და ერთობოდნენ.

დაკარგულმა ძაღლმა შემფარებლები ხანძარს გადაარჩინა

დაკარგული ძაღლი პატრონებს დაუბრუნდა მას შემდეგ, რაც ხანძრისგან გადაარჩინა ოჯახი, რომელმაც ის დროებით შეიფარა.

ამერიკის ვირჯინიის შტატში ჩერიტი გოლოუეი და მისი ორი შვილი სახლში ისვენებდნენ, როდესაც ძაღლმა, სახელად ბატერმა, მისი საძინებლის ფანჯარასთან ყეფა ატეხა. აღმოჩნდა, რომ ძაღლისთვის გაკეთებულ ბუნაგში, რომელიც სახლიდან სულ რაღაც მეტრნახევარში მდებარეობდა, ცეცხლი გაჩნდა. ალება გამოიწვია ნათურამ, რომელსაც გოლოუეი ღამით ბატარიის გასათბობად იყენებდა.

ძაღლის თავგანწირული ყეფის წყალობით დროულად მოხერხდა ხანძრის აღმოჩენა. შემთხვევის ადგილზე სწრაფად მივიდნენ მეხანძრეები და გოლოუეის ოჯახის ევაკუაცია განხორციელდა. მეხანძრე ჯასტინ სტიდჰემის თქმით, როგორც კი ძაღლმა ხანძარი შენიშნა, მაშინვე ადამიანების გაფრთხილებას შეუდგა.

– რომ არა ის, ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა. ყველაფერი შესაძლოა ძალიან ცუდად დასრულებულიყო. ამ ძაღლის დიდი მადლობლები ვართ, – განაცხადა ოჯახის დიასახლისმა.

მას შემდეგ, რაც სტიდჰემმა ძაღლის ფოტოსურათი სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა და ბატერი ოჯახის გადარჩენისთვის შეაქო, ძაღლის პატრონები გოლოუეის დაუკავშირდნენ. აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში ბატერს კუპერი ჰქვია და პატრონები მას მიმდინარე წლის ზაფხულიდან მოყოლებული ეძებდნენ. თუმცა გოლოუეი ძაღლის პატრონისთვის დაბრუნებამდე, მისი გემრიელი სტეიკით დაჯილდოებას აპირებს.

– ის ჩვენგან წავა და ეს მატირებს, თუმცა ამავე დროს ბედნიერიც ვარ, რომ პატრონს დაუბრუნდება. მასთან ურთიერთობას გავაგრძელებთ, – განაცხადა გოლოუეიმ.

მამაკაცს ინტუიცია გამდიდრებაში დაეხმარა

ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ჰეიგერსთაუნის მკვიდრმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა და 50 ათასი დოლარით გამდიდრდა.

38 წლის მამაკაცის თქმით, ის ზოგჯერ ყიდულობს ლატარიის ბილეთებს, თუმცა, როგორც წეს,ი მომენტალური ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობას არ იღებს. ახლახან კი, მას ინტუიციამ უკარნახა, რომ ის პაბში უნდა მისულიყო და შეეძინა ბილეთი, რომელსაც ის ჩვეულებრივ არ ყიდულობს.

– არ ვიცი რატომ, მაგრამ თავს მქონდა მოხვეული ფიქრი მომენტალურ ლატარიაზე. ხელში მეჭირა ხუთდოლარიანი კუპიურა და ამ ფასიანი პირველივე ბილეთი ავიღე, – ყვება ამერიკელი.

მან ბილეთი სახლში მიიტანა, დამცავი ფენა გადაფხიკა და შეიტყო, რომ ინტუიცია დაეხმარა პრიზის, 50 ათასი დოლარის მოგებაში.

– თვალები რამდენჯერმე მოვისრისე იმაში დასარწმუნებლად, რომ რასაც ვხედავდი, ყველაფერი სინამდვილე იყო, – ხაზგასმით აღნიშნა მამაკაცმა. ამის შემდეგ მან მღელვარების და ადრენალინის მოზღვავების გამო დაძინება ვეღარ შეძლო. პაბს, სადაც ამერიკელმა მომგებიანი ბილეთი შეიძინა, ჯილდოს სახით 500 დოლარი ერგო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● საახალწლო აქცია – სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ქუთაისი ისევ წაუგებელია

ჯაჯუსი-ქუთაისი 76:80
(21:19, 20:25, 15:13, 20:23)

სუპერლიგის ლიდერმა ქუთაისმა მორიგი გამარჯვება გაიფორმა. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა კლუბმა დაძაბულ ბრძოლაში კაკტუსი 80:76 დაამარცხა და სუპერლიგის ცხრილში პოზიცია გაიმყარა.

არჩილ ჟღენტის გაწვრთნილი კაკტუსი იოლად დამთმობი არ გამოდგა, ბოლომდე და ღირსეულად იბრძოლა, მაგრამ გამარჯვების მოპოვება ვერ შეძლო. მთელი მატჩი თანაბარ და დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. კაკტუსელები დამაჯერებლად თამაშობდნენ და ტოლ-სწორად მისდევდნენ ლიდერს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ქუთაისელებმა იძალეს და გამარჯვებაც მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ტუღუშის გაწვრთნილმა იმერულმა კლუბმა გამართული ტაქტიკით ითამაშა და სწორედ მაშინ მოუმატა თამაშის ხარისხსა და შედეგიანობას, როცა გადამწყვეტი წუთები იყო.

ქუთაისელთაგან საუკეთესო შედეგი დააფიქსირა გიორგი კორსანტიამ, რომელმაც 19 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა. ბომბარდირი გახდა ადრიან ბოუი, რომლის ანგარიშზეც 20 ქულა დაგროვდა. 9 ქულა და 7 პასი საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრ ოთარ ფხაკაძის ანგარიშზე დაგროვდა. კაკტუსელთაგან 21 ქულითა და 9 პასით საუკეთესო იყო რევაზ როგავა, რიკი მედისონის ანგარიშზე კი, 18 ქულაა.

ვეჩა-ტიტები 66:75
(18:25, 14:17, 22:17, 12:16)

დავით გასიტაშვილის გაწვრთნილი ვერელები წარმატებულ სერიას აგრძელებენ. გუნდმა მე-5 გამარჯვებას მოუყარა თავი და ლიდერთა შორისაა. ვერელთა მორიგი მსხვერპლი ტიტები აღმოჩნდა, რომელსაც 6 მატჩში მხოლოდ 2 მოგება აქვს და ერთ-ერთი აუტსაიდერია.

ბესო ლეჟავას გაწვრთნილი გუნდი ბევრს ეცადა, მაგრამ წინ გაჭრილ და გამართულად მოთამაშე ვერას ვეღარ დაეწია. დიდი შესვენებისთვის 10 ქულით ჩამორჩენილმა ტიტების მოთამაშეებმა მე-3 პერიოდში თამაში კი გამოასწორეს და ჩამორჩენა მნიშვნელოვნად შეამცირეს, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად ძალები არ ეყოთ. ბოლო პერიოდში სხვაობა დიდი არ გახლდათ, ვერელები 7-9 ქულით იგებდნენ, მაგრამ გონივრულად ეჭირათ მატჩის სადავეები და ტიტების ყველა მცდელობა, თამაში შემოებრუნებინათ, იოლად ჩაშალეს.

საბოლოოდ თამაში ისე დასრულდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა. ვერამ 75:66 იმარჯვა და მე-2 ადგილზე გადაინაცვლა. თუმცა, მდევარ თსუ-ზე და ოლიმპზე თამაშით მეტი აქვს ჩატარებული.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო ზაკ ელიასი 17-17 ქულა-მოხსნით. 21 ქულა და 5 მოხსნა ობრი მაკალპინმა მიითვალა. 14 ქულით დარელ ბრაუნი გამოირჩა. ტიტებში 22 ქულით, 13 მოხსნითა და 3 დაფარებით საუკეთესო იყო ჯავიონ ოგუნიემი. 12 ქულა და 14 მოხსნა აკაკი ლომოურის ანგარიშზე დაგროვდა.

ოლიმპი-დინამო 88:77
(18:18, 21:29, 29:12, 20:18)

სუპერლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა ოლიმპმა "დინამო" დაამარცხა და ცხრილში პოზიცია გაიმაგრა. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიდიოდა, თუმცა დიდი შესვენების შემდეგ ოლიმპელთა გაქცევამ დინამოელები წელში გატეხა.

პირველი მეოთხედი ფრედ – 18:18 დასრულდა. მეორეში დინამოელთა აქტიურობამ შედეგი გამოიღო. ვოვა თავაქარაშვილის და ნიკოლოზ გაფრინდაშვილის წინამძღოლობით დინამომ გაქცევა მოაწყო და ათწუთეულის 29:21 მოგებით დიდ შესვენებაზე სოლიდური ლიდერობით გავიდა – 47:39.

10-წუთიანი დასვენება ოლიმპმა კარგად გამოიყენა და გასახდელიდან დაბრუნებული კალათბურთელები თითქმის ყველაფერში ჯობნიდნენ მეტოქეს – ჯერ ჩამორჩენა გააბათილეს, მერე კი სოლიდურადაც დაწინაურდნენ.

მე-3 პერიოდი ოლიმპელებმა 29:12 მოიგეს, რითაც მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყვიტეს. ოლიმპმა ლიდერობა ხელიდან აღარ გაუშვა. დაახლოებით 10-ქულიან ჰანდიკაპს თამაშის ბოლომდე ინარჩუნებდა და საბოლოოდ 88:77 გაიმარჯვა.

სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა ბუნდუ აბდულაიმ, რომელმაც 21 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა. 21 ქულა მიითვალა ოლიმპის შემტევმა უკანახაზელმა კახა ჯინჭარაძემ, დავით ლომიძის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა. 13 ქულა და 11 პასი გივი ბაქრაძემ გაიფორმა. დინამოში 20 ქულით საუკეთესო იყო დანტე ტომპსონი, ხოლო ბენჟამინ ქოლეჯის ანგარიშზე 16 ქულა დაგროვდა.

ცხუმი-ჩუსთავი 84:93
(26:22, 27:17, 11:28, 20:26)

გასული სეზონის ჩემპიონი რუსთავი ფორმას უბრუნდება. ბლომად მარცხის შემდეგ ქვემოქართლურმა გუნდმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა რუსთაველებმა თბილისში ერთ-ერთი ფავორიტი ცხუმ-აფხაზეთი დაამარცხეს. ქვემოქართლელები დიდი სხვაობით აგებდნენ, მაგრამ მეორე და გადამწყვეტ ნახევარში შედეგიანად ითამაშეს და გამარჯვება გაიფორმეს – 93:84.

პირველ ნახევარში ცხუმ-აფხაზეთის უპირატესობა აშკარა იყო. ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილი გუნდი 17 ქულით – 45:28 დაწინაურდა, რაც გამარჯვებაზე სოლიდური განაცხადი გახლდათ. ქვემოქართლელებმა პირველ ტაიმის ბოლოსთვის ჩამორჩენა ოდნავ, 14 ქულამდე შეამცირეს და დიდ შესვენებაზე გავიდნენ.

მე-3 პერიოდიდან მოედანზე ყველაფერი რუსთაველთა სასარგებლოდ შეიცვალა. ქვემოქართლურმა გუნდმა დაცვა გაამაგრა, რის ხარჯზეც შეტევაშიც გზა გაეხსნა და ჩამორჩენა ხომ გააბათილა, დაწინაურდა კიდეც. მესამე პერიოდი სტუმრებმა 28:11 მოიგეს და ბოლო მეოთხედს ლიდერის ამპლუაში შეხვდნენ.

ბოლო პერიოდში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, თუმცა მცირე უპირატესობას რუსთაველები ფლობდნენ, რომლებმაც შანსი ხელიდან აღარ გაუშვეს და გამარჯვებამდე მივიდნენ.

ქვემოქართლელებს 28 ქულით იშმაელ ჰოლისმა ულიდერა, ხოლო კრისტიან კილინგმა და ახალწვეულმა ლუვენ პიპკინსმა 16-16 ქულა მიითვალეს. ცხუმ-აფხაზეთში 19 ქულით საუკეთესო იყო ტაილერ გრინი, ალეკსანდრ ფიკოკის ანგარიშზე 16 ქულა დაგროვდა.

მეგა-ბათუმი 71:90
(18:19, 20:21, 14:28, 19:22)

ბუბა ბერიშვილისა და ლაშა ოჩიკიძის გაწვრთნილმა ბათუმმა დამაჯერებელი სხვაობით – 90:71 დაამარცხა სუპერლიგის დებიუტანტი მეგა და სატურნირო პოზიცია გაიუმჯობესა.

მატჩის პირველი ნახევარი თანაბარი იყო და ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა სოლიდურად დაწინაურებას. დიდ შესვენებაზე ბათუმელები 2-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ და მთავარი გარდატეხა მე-3 პერიოდში მოახდინეს, რომელიც ზღვისპირელებმა 28:14 მოიგეს და ბოლო პერიოდის წინ 16 ქულით დაწინაურდნენ, რაც გამარჯვებას ნიშნავდა. მეგა არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელიც ასეთ სოლიდურ უპირატესობას ბოლო პერიოდში გააბათილებდა.

საბოლოოდ ბათუმელებმა 19 ქულით გაიმარჯვეს და სატურნირო ვითარება გამოისწორეს. ამჯერად აჭარულ გუნდს 2 მოგება და 4 მარცხი აქვს.

გამარჯვებაში სოლიდური წილი დაიდო ბათუმელთა ახალწვეულმა დენის მარვინმა, რომელმაც 23 წუთში 15 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა. 15 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა ბექა ბექაურმა, ხოლო სოსო გოგნაძის ანგარიშზე 12 ქულა და 14 მოხსნა დაგროვდა.

სატუნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	6	6	0566-468	12
2.ვერა	7	5	2587-611	12
3.თსუ	6	5	1510-464	11
4.ოლიმპი	6	5	1487-435	11
5.ცხუმი	6	3	3496-487	9
6.კაკტუსი	7	2	5535-566	9
7.მეგა	7	2	5531-584	9
8.ბათუმი	6	2	4513-504	8
9.დინამო	7	1	6577-655	8
10.ტიტები	6	2	4470-461	8
11.რუსთავი	6	2	4475-512	8

ტოტენჰემში კოვიდია – 6 ფეხბურთელი იზოლაციაში გადავიდა

ლონდონის ტოტენჰემი ურთულეს სიტუაციაში აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ გუნდში კორონავირუსის შემთხვევები გამოვლინდა. ეს მაშინ, როდესაც გუნდს კონფერენციის ლიგაზე უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვს ჩასატარებელი, რაც კლუბს ურთულეს მდგომარეობაში აყენებს.

ტესტებზე დადებითი პასუხი გუნდის 6-მა ფეხბურთელმა და სამწვრთნელო შტაბის 2-მა წევრმა ჩააბარა. შედეგად, მათ 10-10 დღე თვითიზოლაციაში უნდა გაატარონ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მოთამაშეებს, რომელთა ვინაობაც არ სახელდება, მინიმუმ 3 უახლოესი მატჩის გამოტოვება მოუწევთ: კონფერენსლიგაში – რენთან და პრემიერლიგაში – ბრაიტონთან და ლესტერთან.

როგორც გითხარით, რენთან მნიშვნელოვანი მატჩია, რადგან ტოტენჰემი და ვიტესი თანაბარი ქულებით არიან. ვიტესი კი, შინ გაცილებით იოლ მეტოქეს ხვდება – სლოვენიურ მურას. თიტენჰემს ერთი ის თუ გაახარებს, რომ რენს შემდეგ ეტაპზე გასვლა განაღდებული აქვს და იქნებ ლონდონში არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით ჩავიდეს.

ამავდროულად, არსებული მდგომარეობით რენთან აღნიშნულ თამაშს ჩაშლა არ ემუქრება. უეფა-ს რეგლამენტის თანახმად, მატჩის გადატანა იმ შემთხვევაში ხდება, თუ განაცხადში 13 ან ნაკლები ფეხბურთელი იქნება, ანაც კლუბი მეკარის გარეშე დარჩება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

ენძელა, დარეჯანი, დალი და პეტრე ბერაიები შვილებით ეკა, ნინო, თამრიკო, თეა, ქეთინო, შალვა, ნანა, რძალი ლიკა გაგნიძე, სიძეები გოჩა ლორთქიფანიძე და დათო კვიციანი მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ პეტრიაშვილების და აბურჯანიძეების ოჯახებს უახლოესი ნათესავის

ჯული პეტრიაშვილის

გარდაცვალების გამო.

მერაბ, თამაზ, ლევან და კოტე დგებუაძეები თანაგრძნობას უცხადებენ დავით და თამარ დგებუაძეებს დედის, ქალბატონი

მერი კაჭარავა-დგებუაძის

გარდაცვალების გამო.

დგებუაძეების საგვარეულო კავშირის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს დავით და თამარ დგებუაძეებს დედის, ქალბატონი

მერი კაჭარავა-დგებუაძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

6 დეკემბერი
ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა
ევერტონი-არსენალი 2:1

სატუნირო ცხრილი:

1.სიტი	15	11	2	2	32-9	35
2.ლივერპული	15	10	4	1	44-12	34
3.ჩელსი	15	10	3	2	35-9	33
4.ვესტ ჰემი	15	8	3	4	28-19	27
5.ტოტენჰემი	14	8	1	5	16-17	25
6.მანჩესტერი	15	7	3	5	25-24	24
7.არსენალი	15	7	2	6	18-22	23
8.ვოლვზი	15	6	3	6	12-13	21
9.ბრაიტონი	15	4	8	3	14-16	20
10.ასტონ ვილა	15	6	1	8	21-24	19
11.ლესტერი	15	5	4	6	23-27	19
12.ევერტონი	15	5	3	7	19-25	18
13.ბრენტფორდი	15	4	5	6	19-21	17
14.კრ.პალასი	15	3	7	5	19-21	16
15.საუთჰემპტონი	15	3	7	5	14-21	16
16.ლიდსი	15	3	7	5	15-22	16
17.უოტფორდი	15	4	1	10	20-29	13
18.ბარნლი	14	1	7	6	14-21	10
19.ნიუკასლი	15	1	7	7	17-30	10
20.ნორვიჩი	15	2	4	9	8-31	10

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი
ხეტაფე-ბილბაო 0:0

სატუნირო ცხრილი:

1.რეალი	16	12	3	1	37-15	39
2.სევილია	15	9	4	2	25-11	31
3.ბეტისი	16	9	3	4	26-18	30
4.ატლეტიკო	15	8	5	2	27-16	29
5.სოსიედადი	16	8	5	3	19-13	29
6.რაიო	16	8	3	5	24-16	27
7.ბარსელონა	15	6	5	4	23-17	23
8.ვალენსია	16	5	7	4	24-22	22
9.ბილბაო	16	4	9	3	13-11	21
10.ოსასუნა	16	5	6	5	15-19	21
11.ესპანიოლი	16	5	5	6	15-15	20
12.მალიოკა	16	4	7	5	16-23	19
13.ვილიარეალი	15	3	7	5	16-17	16
14.სელტა	16	4	4	8	17-21	16
15.გრანადა	15	3	6	6	16-23	15
16.ელჩე	16	3	6	7	15-22	15
17.ალავესი	15	4	2	9	12-21	14
18.კადისი	16	2	6	8	14-30	12
19.ხეტაფე	16	2	5	9	10-19	11
20.ლევანტე	16	0	8	8	13-28	8

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი
სარაგოსა-ეიბარი 1:0
კარტახენა-ტენერიფე 1:1
ხირონა-ლეგანესი 3:0

იტალია. სერია ა
ემპოლი-უდინეზე 3:1
კალიარი-ტორინო 1:1

სატუნირო ცხრილი:

1.მილანი	16	12	2	2	35-18	38
2.ინტერი	16	11	4	1	39-15	37
3.ნაპოლი	16	11	3	2	34-12	36
4.ატალანტა	16	10	4	2	35-19	34
5.იუვენტუსი	16	8	3	5	22-16	27
6.ფიორენტინა	16	9	0	7	27-22	27
7.რომა	16	8	1	7	24-19	26
8.ლაციო	16	7	4	5	32-30	25
9.ბოლონია	16	7	3	6	23-27	24
10.ვერონა	16	6	5	5	32-28	23
11.ემპოლი	15	7	1	7	24-27	22
12.სასუოლო	16	5	5	6	26-25	20
13.ტორინო	15	5	3	7	18-15	18
14.უდინეზე	16	3	7	6	21-27	17
15.სამპდორია	16	4	3	9	22-32	15
16.ვენეცია	16	4	3	9	15-29	15
17.სპეცია	16	3	3	10	17-36	12
18.კალიარი	16	1	7	8	17-30	10
19.ჯენოა	16	1	7	8	17-31	10
20.სალერნიტანა	16	2	2	12	11-33	8

საფრანგეთი. ლიგა 2
ნიორი-ტულუზა 2:1

თურქეთი. სუპერლიგა
გიოზთეფე-გაზიანთები 2:1
ქონია-მალათია 0:0

საბერძნეთი. სუპერლიგა
ლამია-იანინა 0:1

პორტუგალია. ექტრაჯლასა
ვარტა-ვისლა 1:1

უკრაინა. პრემიერლიგა
დნიპრო-ჩერნომორეცი 3:1

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. შვეიცარიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ჩინური ფინიკი; 3. ცნობილი ამერიკელი პედიატრი; 5. ფულის ერთეული ავღანეთში; 6. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება; 9. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 10. ქუთაისის აეროპორტი; 11. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 14. არაბეთის ზღვისპირა კურორტი ინდოეთში; 16. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 18. სკანდინავიური ლეგენდა-თქმულება.

თარაზულად: 1. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 4. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. ცნობილი არგენტინელი ავტომრბოლელი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი; 8. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 12. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 13. დაზვერვის თანამშრომელი; 15. თაფლიანი ფიჭა; 17. ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო კულტურა; 19. ტკივილიანი მწვავე შეტევა გულის არეში; 20. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 21. მფრინავი ცხოველი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ნინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩოჩორი; 2. თოიძე; 3. გრემიო; 4. ადაჟიო; 6. იამაიკა; 9. ტურნე; 11. მუშამბა; 15. სეიდებადი; 16. ბეზოსი; 17. ყინწვისი; 19. ოლსტერი; 21. ბაზალტი; 22. ჰამამი.

თარაზულად: 5. კოლორადო; 7. ალიგოტე; 8. შაპიტო; 10. წურბელა; 12. იუანი; 13. ბრუტო; 14. ბონისტიკა; 18. პრადო; 20. ვექილი; 23. ნასერი; 24. ზღვა; 25. პასიკი; 26. მუდო; 27. სტაიერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შტირია; 2. კარმენი; 3. ჯაფარიძე; 4. ალბინოსი; 8. ფიროსმანი; 9. ლამინარია; 11. ყიფიანი; 12. პუმა; 14. ლემა; 16. დისლალია; 17. მადნეული; 19. ფლეგმა; 21. ფიალა.

თარაზულად: 5. საფიჩხია; 6. ბრაშპილი; 7. ფრიკადელი; 10. ყირიმი; 13. რამოსი; 15. ემპირეა; 18. მირაჟი; 20. ტრიოდი; 22. აპერიტივი; 23. სინდრომი; 24. ალკატელი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0909

ევრო — 3.4813

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0948

100 რუსული რუბლი — 4.1561

ამინდის პროგნოზი 8 დეკემბრისათვის



სამპდორიას პრეზიდენტი თაღლითობისთვის დააკავეს

სამპდორიას პრეზიდენტი მასიმო ფერერო თაღლითობისთვის დააკავეს და ეს მის საფეხბურთო საქმიანობას არ ეხება.

ფერერო რამდენიმე სასტუმროს ფლობს და მას იტალიური პროკურატურა ფინანსურ მაქინაციებში ედავება.

ფერერო იტალიაში ცნობილი პიროვნებაა და მას რამდენიმე ფილმიც აქვს გადაღებული. სამპდორიას პრეზიდენტი ის 2017 წელს გახდა.

ბარსელონა დემბელეს დათანხმებას ცდილობს

ბარსელონა კვლავინდებურად ცდილობს, რომ უსმან დემბელე ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დაითანხმოს და შესაძლოა უსმანს ანაზღაურებაც მოუმატონ, თუმცა კონკრეტული თანხა არ სახელდება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დემბელეს ინგლისურ კლუბში სურს გადასვლა და ეს გუნდი დიდი ალბათობით ნიუკასლია, სადაც მას ძალიან მაღალ ანაზღაურებას სთავაზობენ.

კვარაცხელიას რუსეთში ისევ აკრიტიკებენ

ყაზანის რუბინის ქართველ ლეგიონერს ხვიჩა კვარაცხელიას რუსული მედია ისევ აკრიტიკებს და მის თამაშს შარშანდელი სეზონის აჩრდილს უწოდებს.

ხვიჩა ბოლო შეხვედრაში 52-ე წუთზე შეცვალეს და მანამდე მოედანზე მას ღირებული თითქმის არაფერი გაუკეთებია. კვარაცხელიას რუბინის დატოვება სურს და დიდი ალბათობით მისი ცუდი თამაში სწორედ ამით არის გამოწვეული.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

80-ზე მეტი ქალი და მამაკაცი კალენდრისთვის გაშიშვლდა

ბრიტანეთის დევონის საგრაფოში ფერმერებმა და ცხენებით სეირნობის მოყვარულებმა შიშვლებმა გადაიღეს ფოტოსურათები, რათა ამით შეაგროვონ გარკვეული თანხა ტვინის კიბოს გამოსაკვლევად. 84-მა ადამიანმა, ქალმაც და კაცმაც თანხმობა განაცხადა, მონაწილეობა მიეღოთ საქველმოქმედო კალენდრისთვის გამართულ გადაღებაში. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც ტვინის კიბო დაუდგინდა მათ ნაცნობსა და მეზობელს. აღნიშნული კალენდრის ფასი 12,5 ფუნტი სტერლინგი იქნება, ხოლო მისი რეალიზებიდან მიღებული შემოსავალი შემდეგ სპეციალურ ფონდს გადაეცემა. ფერმერებმა და მხედრებმა ფოტოსურათები ცხენებთან და ძაღლებთან ერთად გადაიღეს, ჩასაცმელიდან კი მათ მხოლოდ მხედრობისთვის განკუთვნილი ფეხსაცმელი ეცვათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ქორწილის პირველი ღამის მეორე დილით ქალიშვილი დედას ურეკავს:

– დედა, გახსოვს მეუბნებოდი, რომ მამას სუსტი პოტენცია ჰქონდა და შენ მას ბებიის მიერ დატოვებული რაღაც წამალი მიეცი, რომელიც ბებიას დიდმა ბებიამ დაუტოვა. ცოტა ხომ არ დაგრჩა?

ერთი დღის შემდეგ ისევ ურეკავს დედას და ეუბნება:

– დედა, გივი მოკვდა!

– სწორეა. მამაშენიც მოკვდა, პაპაშენიც და პაპისპაპაც...

•••

ქალს ეკითხებიან:

– ვთქვათ, წყალში ერთად იხრჩობიან მამაკაცი, რომელიც შენ გიყვარს და მამაკაცი, რომელსაც უყვარხარ, რომელს გადაარჩენდი?

– რა ჯანდაბად მოუნდათ ერთად ბანაობა?

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემ ცხოვრებაში არავინ მომიტყუებია, არ გამიძარცვავს, არ მომიკლავს და ასე ცუდად რატომ ვცხოვრობ?

– რაღა გინდა, საკუთარ კითხვას თავადვე უპასუხე.

•••

ერთი ბავშვი მეორეს ეუბნება:

– მამაჩემი ამბობს, რომ უფრო სასიამოვნო გაცემაა, ვიდრე მიღება.

– მამაშენი ღვთისმსახურია?

– არა, მოკრივე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დემნა გვასალია: „სხვების ჩაცმის სტილზე უფრო მეტს ვფიქრობ, ვიდრე საკუთარზე“

ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია მსოფლიო მოდის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. მის შესახებ უწყვეტად წერენ უცხოური გამოცემები:

„სხვების ჩაცმის სტილზე უფრო ბევრს ვფიქრობ, ვიდრე საკუთარზე.“

„ზოგჯერ მოდისგან იმდენად დაღლილი ვარ, რომ დილით ვიღვიძებ და თავადაც არ ვიცი, რა ჩავიცვა.“

„მოდის შექმნა ახლა ბევრად რთულია, ვიდრე ნებისმიერ სხვა ეპოქაში.“

„მოდა არ იყიდება თუ სული არ აქვს.“

„არ მიყვარს, როდესაც ვისვენებ და მოდაზე მელაპარაკებიან“.

„ჩემს სოფელში მოდა არავის აინტერესებს, ამიტომ მომწონს იქ ცხოვრება.“

„შესაძლოა მოდაში ახლა უფრო მნიშვნელოვანი მომენტია, ვიდრე დიორის ნიუ ლუქის დროს“ – ეს დემნა გვასალიას ინტერვიუებიდან ამოკრებილი ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაზებია, რომლებიც უცხოელმა ჟურნალისტებმა შეკრიბეს.

ერთ-ერთ ახალ ინტერვიუში კი ქართველი დიზაინერი საკუთარი ინტერესის სფეროებზე საუბრობს:

– არ ვარ დაინტერესებული არაფრით, რაც რიგითია – ტიპურია, მათ შორის, არც ტიპური მომხმარებლით. თუ ვიღაც პირადად შეურაცხყოფილია კროქსებით, ეს იმ ადამიანის პრობლემა უფროა, ვიდრე ფეხსაცმლის დიზაინის. რასაც მე ვაკეთებ, ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი. გამოსაშვები საღამოს საშინელი კოსტიუმი თუ „უმიზეზოდ ძვირი“ ბაზრის ჩანთა, არაფერი ხვდება ჩემს კოლექციაში შემთხვევით, ისე, რომ მე კარგად არ მქონდეს შეგნებული. ვიცი თუ არა, რომ ეს შეიძლება არ იქნეს „აღქმული“ სოციალური ქსელის ტიპური კრიტიკოსის მიერ? დიახ, ვიცი. მაღელვებს თუ არა? დარწმუნებული ვარ, ამაზე პასუხი იცით. მე უბრალოდ ვქმნი მოდას, რომელიც მომწონს და მსიამოვნებს. ყველაფერი ასე მარტივადაა. ახლა უფრო ბედნიერი ადამიანი ვარ, ვიდრე 5, ან 2 წლის წინ ვიყავი. უფრო დაკავშირებული ვარ საკუთარ თავთან, საკუთარ შემოქმედებით ხედვასთან და მისიასთან. ბედნიერი და შეყვარებული ვარ. შეიძლება ეს იყოს მიზეზი, ჩემი მიდგომა ამასაც ირეკლავს.

– ბალენსიაგაში თქვენი პირველი ნაბიჯები როგორ გახსენდებათ?

– როგორც კი მოვედი ბალენსიაგაში, მაშინვე არქივებში შევიხედე. უნდა შემესწავლა სახლის წარსული, რათა მივხვედრილიყავი, თუ საით წამეყვანა ის. კრისტობალ ბალენსიაგას კოპირება არასდროს მიცდია, ამაში აზრს ვერ ვხედავ. ის მეოცე საუკუნის შუაგულს ცხოვრობდა, მე კი ახლა და აქ ვარ. ამასთან არც მინდა მოვიჩვენო თავი, რომ ჩვენ ერთ საფეხურზე ვართ. მე ვარ ის, ვინც ვარ და ვქმნი სახლისთვის, რომელსაც დიდი ისტორია აქვს. ამ ისტორიაზე თვალის დახუჭვა იგივე იქნებოდა, რაც მანქანის მართვა უკანა ხედვის სარკეში ყურების გარეშე.

– ამბობენ, რომ ტრავმა კომერციად აქციეთ...

– კომერციად ვაქციე ტრავმა? საინტერესოა იმის მოსმენა, რომ ზოგი ასეთ ინტერპრეტაციას აძლევს, თუმცა ჩემთვის ეს ნამდვილად არ ყოფილა ტრავმული წარსულის კომერციალიზაცია. სინამდვილეში, ეს ჩემი ტრავმის მიღება იყო და მისი შემოქმედებად გადაქცევა. სწორედ ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ხალხი ვერც ამჩნევს. ტრავმა შემოქმედებად გადაიქცა და რაღაც ახალი შეიქმნა. ესაა ყველაზე საოცარი რამ, რისი გაკეთებაც შემოქმედებით ადამიანს შეუძლია."

კერამიკულ პანოს უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

თბილისში, ნ. ყიფშიძის №6-ში არსებულ ტერასულ ეზოს საყრდენ კედელზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ ისტორიულ ობიექტს – კერამიკულ პანოს, საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ამ ტერიტორიაზე ორი სხვადასხვა ზომის მონუმენტურ-დეკორატიული პანოა განლაგებული. შედარებით მასშტაბური კერამიკული პანო ასახავს სპორტის სხვადასხვა სახეობის ათლეტების ჰორელიეფური ფიგურებით შედგენილ ფრიზულ კომპოზიციას. ოცდაერთფიგურიანი კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია ქართული საჭიდაო ჩოხით შემოსილი ახალგაზრდა მამაკაცის სტატიკური, ფრონტალურად მდგომი ფიგურა, უტრირებული თავით, დოინჯშემოყრილი მარჯვენით და ზემოთ აწეული მარცხენა ხელით. ეს უკანასკნელი, მარჯვნიდან და მარცხნიდან ფლანკირებულია ათ-ათი სპორტსმენის, დინამიკაში ასახული ფიგურით. მათ შორის, კომპოზიციაში გამოიყოფა ცალკეული სპორტის სახეობების წარმომადგენელთა გამოსახულებები.

მეორე, შედარებით მცირე ზომის კერამიკულ პანოზე ჰორელიეფურად გამოსახულია, სავარაუდოდ, სპორტული ტანსამოსის და ინვენტარის დამამზადებელი, შესაბამის სამუშაო ფორმაში გამოწყობილი და ხელსაწყოებით აღჭურვილი სხვადასხვა ასაკის და პროფესიის წარმომადგენელი ქალებისა და მამაკაცების ცხრაფიგურიანი კომპოზიცია. ფიგურებს ახლავს სხვადასხვა სპორტული ინვენტარი და სამუშაო ხელსაწყო-ბადეებში ჩაწყობილი ბურთები, სპორტული ჩანთა, საკერავი მანქანა...

მრავალფიგურიანი კომპოზიციის ცენტრში წარმოდგენილია მუხლებში მოხრილი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ორივე მხარეს ემიჯნება სამ-სამ ფეხზე მდგომ ქალთა და ვაჟთა ფიგურები, ხოლო კომპოზიციას ასრულებს კიდეებში გამოსახული, სამუშაო ხელსაწყო-იარაღებით წარმოდგენილი, ორი განსხვავებული პროფესიის – მეწაღისა და თერძის, პატარა ტანის, ასაკოვანი მამაკაცის თითო ფიგურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 დეკემბრისათვის

ვერძი – ნეგატიური დღეა. თავს ნურავის მოატყუებინებთ. ურთიერთობებში ორაზროვნება ჭარბობს. **კურო** – ვარსკვლავები მამაკაცებს დღეს სტუმრად წასვლას ურჩევენ. კეთილისმყოფელი და ჰარმონიული პერიოდია. **ტყუპები** – ეჭვების საფუძველი არ გაქვთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. გეგმები გეცვლებათ. **კირჩხიბი** – სიტუაციას არაადეკვატურად აფასებთ, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი საქმე სამომავლოდ გადადეთ. **ლომი** – იყავით სამართლიანი, დაიცავით დაჩაგრული. თუ საჭიროა, კომპრომისზეც უნდა წახვიდეთ. **ქალწული** – საკუთარი პრინციპები დროებით გვერდზე გადადეთ და სხვისი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედეთ. **სასწორი** – ახალი გატაცებები, ნაცნობობა, ურთიერთობების გაფართოება დღის დევიზია. იყავით დამოუკიდებელი. **ღრიანცელი** – შეცდომების გამოსასწორებლად შანსი გეძლევათ. მოთმინება და თავშეკავება დღეს სავალდებულოა. **მშვილდოსანი** – აქტიური დასვენება თქვენს ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედებს. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. **თხის რქა** – ძალზე აქტიური და შემოქმედებითი დღეა. სიძნელეებს მარტივად გადალახავთ. **მერწყული** – გამოიჩინეთ სიბრძნე და სამართლიანობა. დაეხმარეთ მათ, ვისაც ეს თქვენგან სჭირდება. **თევზები** – აფორიაქებული ხართ. პესიმიზმი გიტევთ. სასარგებლოა ფიზიკური შრომა.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთამთიანეთში; 2. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 4. სოფლის შარაგზა; 5. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი; 10. ზღვის დიდი ათფეხა-ჯავშნიანი კიბორჩხალა; 11. ქართველი მხატვარი ქალი; 12. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 15. მევენახეობა-მეღვინეობის ოლქი აღმოსავლეთ საფრანგეთში; 16. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 17. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 20. გარეული ცხოველი – მადრიდის სიმბოლო.

თარაზულად: 6. ქართველი მეღვინე, კონიაკის წარმოების ფუძემდებელი საქართველოში; 7. აშშ-ის ელჩი საქართველოში; 8. ცხოვრებისეული მოვლენების, ამბების ქრონოლოგიური აღნუსხვა, მატიანე; 9. მსოფლიო კულტურულ-მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 13. აეროპორტი თელ-ავივში; 14. არწივის ბარტყი; 18. იურისპრუდენციაში სხვისი ქონების სამუდამო გამოყენება, სარგებლობა მისი დანიშნულებისა და მთლიანობის დაურღვევლად; 19. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 21. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 22. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 23. ჩინელ ჩინოვნიკთა მეტსახელი ძველად ევროპაში; 24. კამათის, პაექრობის ხელოვნება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა